

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტი



ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ავტორი: ქრისტინე ჭანტურია

უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების  
ჩამორთმევა საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი

გიორგი რუსიაშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

## სარჩევი

1. შესავალი.....	4
2. მემკვიდრეობა.....	5
2.1. მემკვიდრეობითი სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში. რეგულირების სფერო.....	5
2.2. კანონით მემკვიდრეობისა და ანდერძით მემკვიდრეობის შედარება.....	8
2.3 კანონით გათვალისწინებული მემკვიდრეთა წრე, სამკვირდოს მიღების სამართლებრივი საფუძვლები.....	8
2.4 ანდერძის სამართლებრივი ბუნება - „თავისუფლების პრინციპი“.....	11
3. მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ზოგიერთი პრობლემური საკითხი.....	13
3.1. კავშირი მემკვიდრეობის უფლებასა და საკუთრების უფლებას შორის.....	13
3.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის კონსტიტუციურობის საკითხის მიმოხილვა.....	16
4. მემკვიდრეობის ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძვლები.....	18
4.1. მემკვიდრეობის უფლება სსკ-ის 1311-ე მუხლის მიხედვით .....	18
4.2. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის ერთ-ერთი საფუძველი - „უღირს მემკვიდრედ ცნობა“.....	21
4.2.1 სისხლისსამართლებრივი დანაშაული, როგორც უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი.....	21
4.2.2. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ .....	23
4.3. მემკვიდრეობის ჩამორთმევის სხვა საფუძვლები.....	26
5. უღირს მემკვიდრედ ცნობასა და სავალდებულო წილის მიღების უფლებასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები.....	28
5.1 სამემკვიდრეო დავებში მონაწილე სუბიექტები.....	32
5.2 მამკვიდრებლის საპროცესო უფლებაუნარიანობა .....	34
6. უღირსედ მემკვიდრედ ცნობის საკითხი უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში.....	38

6.1 ისტორიული მიმოხილვა.....	38
<i>6.1.1 უღირს მემკვიდრედ ცნობისათვის დამახასიათებელი თავისებურებები     სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.....</i>	<i>40</i>
6.2 უღირს მემკვიდრედ ცნობა გერმანიის სამოქალაქო სამართალში.....	45
6.3 მემკვიდრეობა ბერძნული სამართლის მიხედვით.....	50
დასკვნა.....	52
ბიბლიოგრაფია.....	55

## 1. შესავალი

მემკვიდრეობითი სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის დასკვნით მეექვსე ნაწილს. მასში დეტალურად არის გაწერილი მემკვიდრეობის უფლებები და მოვალეობები, მათი ქონებრივი და პირადი ურთიერთობების ნიუანსები, მიმართული მემკვიდრისადმი.

თითოეულ ქმედებას, მოპყვება შედეგი. მიუხედავად იმისა, თუ რა ქმედებას ჩადის ესა თუ ის პირი, მით უმეტეს, თუ ის მიმართულია ახლო ნათესავის მიმართ, ოჯახის წევრის მიმართ, აუცილებლად მოპყვება მას სათანადო შედეგი. ჩვენი კვლევის საგანში სწორედ რომ ოჯახის წევრებისადმი არასათანადო, უღირსი საქციელის ჩადენის შედეგზე, ანუ უღირს მემკვიდრეზე გამახვილდება ყურადღება.

უღირს მემკვიდრეს საქართველოს მემკვიდრეობის სამართალში არ ეთმობა დიდი ყურადღება, იგი რამდენიმე მუხლით შემოიფარგლება, თუმცა მისი მნიშვნელობა ძალზედ დიდია და ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც მოპყვება უღირს მემკვიდრედ აღიარებას დიდ ზიანს აყენებს როგორც მამკვიდრებელს (მორალური თვალსაზრისით), ისე მემკვიდრეს (ფინანსური თვალსაზრისით).

კვლევის მიზანს წარმოადგენს უღირს მემკვიდრედ ცნობის და მისი უფლებების სამართლებრივი ანალიზი, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების მაგალითზე. კვლევის ამოცანაა სრულფასოვნად და სრულყოფილად იქნეს გადმოცემული უღირსი მემკვიდრის ცნობის სამართლებრივი შედეგების დეტალური ანალიზი, აგრეთვე კვლევის ერთ–ერთ ამოცანას წარმოადგენს გამოავლინოს ის დადებითი და უარყოფი მხარეები, რაც აღნიშნულ სფეროში აქვს ქართულ კანონმდებლობას, თვალსაჩინოდ წარმოაჩინოს სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მარეგულირებელი ნორმები და მოახდინოს მათი კვლევა და ანალიზი.

ნაშრომის დასაწყისში განვიხილავ მემკვიდრეობის არსს, მის ადგილს სამართლის სისტემაში და მისი რეგულირების სფეროს, აგრეთვე ვისაუბრებ კანონით და ანდერძით მემკვიდრეობაზე. განვიხილავთ ორივე სახის მემკვიდრეობას და მოვახდენ მათ შედარებას, ყურადღება უთუოდ გამახვილდება მათ მსგავსებაზე და განსხვავებებზე, აგრეთვე მათ სამართლებრივ შედეგებზე.

მომდევნო საკითხად განვიხილავ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემურ საკითხს, კერძოდ საუბარი შეეხება კავშირს მემკვიდრეობის უფლებასა და საკუთრების უფლებას შორის. გამოკვლეული და ჩამოყალიბებული იქნება ორივე უფლება, მათი მახასიათებლები. ასევე, ამავე თავში ვისაუბრებ 1371-ე მუხლის კონსტიტუციურობის საკითხზე, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო წილის

მოთხოვნის უფლებას. აღსანიშნავია, რომ მოცემული მუხლი გარკვეულწილად არღვევს მამკვიდრებლის საბოლოო ნების გამოვლენის უფლებას და სწორედ ამ საკითხზე განსაკუთრებით გავამახვილებ ყურადღებას.

გარდა უღირსი მემკვიდრეობისა მემკვიდრეობით სამართალში აგრეთვე არის სხვა საფუძვლები, დაკავშირებული მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან, როლებიც ასევე იქნება განხილული ერთ–ერთ თავში.

უღირსი მემკვიდრის ცნობისა და სავალდებულო წილის მიღების უფლების პროცესუალური საკითხები გამოვყავი ცალკე თავად. ცნობილია, რომ უღირს მემკვიდრედ ცნობა ხდება სასამართლოს მეშვეობით, სწორედ ამ პროცესუალურ საკითხებზე ვისაუბრებთ მოცემულ თავში, და ბუნებრივია, ყურადღებას სავალდებულო წილის საკითხსაც დავუთმობთ, რაც მოგვცემს სრულფასოვან სურათს, რათა განსახილველი ნაშრომი ყველა რაკურსიდან სრულყოფილად იქნეს გაშუქებული.

ბოლო თავში ჩვენ გამოვიკვლევთ უღირს მემკვიდრედ ცნობის საკითხს უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში. ძირითადად გამოკვლეული იქნება ევროპის წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობა, ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს თუ არა უღირს მემკვიდრედ ცნობის ინსტიტუტს და რა შემთხვევაში, რა წინაპირობების არსებობისას ხდება პირის უღირს მემკვიდრედ აღიარება.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროცესი ძალზედ დიდი თეორიული მასალის დამუშავებას და სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, სწორედ ამისათვის კვლევა ჩატარებული იქნება თვისობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდი მოგვცემს საშუალებას თვალნათლივ წარმოვიდგინოთ უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძვლები და მისი შედეგები. ნაშრომში გამოვიყენებთ იურისტი მეცნიერების მიერ შექმნილი ნაშრომებს, სტატიებს და ბუნებრივია არა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, არამედ მეტი თვალსაჩინოებისთვის მივმართავთ უცხო ქვეყნების მემკვიდრეობის სამართალს და გამოვიკვლევთ ევროპის წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობას უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტის საკითხთან დაკავშირებით.

## **2. მემკვიდრეობა**

### **2.1. მემკვიდრეობითი სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში.**

#### **რეგულირების სფერო**

მემკვიდრეობის სამართალი წარმოადგენს სმოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. მისი მიზანია მემკვიდრეობითი ურთიერთობების რეგულირება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ადამიანის სიცოცხლეში წარმოშობილი მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობები, მემკვიდრეთა

ქონებრივი და პირადი ხასიათის უფლება–მოვალეობები მისი გარდაცვალების შემდეგ გადადის სხვა პირებზე ანუ მემკვიდრეებზე, ხოლო ამ უფლება–მოვალეობათა გადასვლას კი მემკვიდრეობა ეწოდება.

სამოქალაქო სამართლის იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს გარდაცვლილის ქონებრივი, ასევე პირადი უფლებებისა და მოვალეობების გადასვლის რეგულირებას, წესს და პირობებს - მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება.<sup>1</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის (შემდგომში - სსკ) თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ან/და ორივე საფუძვლით.

მემკვიდრეობა, როგორც დოქტრინის, ისე კანონმდებლობის მიხედვით, არის გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირებზე გადასვლა მემკვიდრეობის სამართლის ნორმების შესაბამისად. ზოგჯერ ყურადღება მახვილდება ქონების სხვა პირებზე გადასვლის შესახებ. მემკვიდრეობის შინაარსი ორივე შემთხვევაში ერთნაირია. პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან. მაგრამ იურიდიულად ქონებრივი ურთიერთობა არ წყდება. ისინი კვლავ არსებობენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გარდაცვლილი პირის ნაცვლად მისი უფლებამონაცვლეები წარმოადგენენ ასეთ ურთიერთობათა სუბიექტებს.<sup>2</sup>

უფლებამონაცვლეობა უნივერსალურ ხასიათს ატარებს. გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებები და ვალდებულებები სხვა პირებზე გადადის სრულად და უცვლელად ერთსა და იმავე დროს. აქედან გამონაკლისს წარმოადგენს ის უფლება–მოვალეობები, რომელთა გადაცემა კანონმდებლობითაა დაუშვებელი ან ეწინააღმდეგება მათ ბუნებას. მემკვიდრეობითი სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც გარდაცვლილი პირის ქონების სხვა პირებზე გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს. ქონებაში იგულისხმება არა მარტო აქტივი, არამედ პასივიც. მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ერთ–ერთ უძველეს ძირითად უფლებას წარმოადგენს. თანამედროვე გაგების სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე მემკვიდრეობის ინსტიტუტი გარდაუვალი აუცილებლობით მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა. ადამიანთა საზოგადოება, საოჯახო ურთიერთობათა წარმოქმნასთან ერთად, მემკვიდრეობის ობიექტურად არსებული ურთიერთობების მონაწილე ხდებოდა.<sup>3</sup>

ადამიანის სიკვდილი იწვევს მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობას. ასეთ დროს ადგილი აქვს არა მხოლოდ ცალკეული უფლებისა და მოვალეობის, არამედ მათ

<sup>1</sup> ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2000, გვ. 6

<sup>2</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 9

<sup>3</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 10

ერთობლიობაში გადასვლას მემკვიდრეებზე, რის გამოც მემკვიდრეობა წარმოადგენს საერთო და უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას, რომელიც უნდა განვასხვაოთ კერძო ანუ სინგულარული უფლებამონაცვლეობისაგან. **საერთო ანუ უნივერსალური უფლებამონაცვლეობისას** ადგილი აქვს მთელი სამკვიდრო ქონების გადაცემას ერთდროულად ყველა მემკვიდრისათვის. კერძო ანუ სინგულარული უფლებამონაცვლეობისას კი ცალკეული მემკვიდრეობის უფლების გადაცემას კონკრეტული მემკვიდრისათვის. ამავე დროს, როგორც უნივერსალური, ისე სინგულარული უფლებამონაცვლეობისას არ დაიშვება მემკვიდრის შეხედულებითა და ნება-სურვილით რომელიმე უფლების მიღება ან მასზე უარის თქმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრე, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ვალდებულია მიიღოს ყველა უფლება ერთად ან მათზე განაცხადოს უარი. მემკვიდრის მიერ რომელიმე კონკრეტული უფლების მიღება ავტომატურად იწვევს მის მიერ დანარჩენი უფლებების მიღებასაც.<sup>4</sup>

მემკვიდრეობის ინსტიტუტისადმი ცხოველი ინტერესი განპირობებულია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით. კერძო სამართალი სანივთო და საოჯახო ურთიერთობებთან ერთად ოდითგანვე მემკვიდრეობის საკითხებს არეგულირებდა. რადგან მემკვიდრეობაში მთავარია გარდაცვლილი პირის სიცოცხლის პერიოდის ქონებრივი უფლება-მოვალეობათა სხვა პირებზე გადასვლის საკითხი, იგულისხმება, რომ მათ შორის ძირითადი ადგილი უკავია საკუთრების უფლებას. მისი სხვა პირებზე გადასვლა განსაკუთრებული ლოგიკითა და კანონზომიერებით უნდა ხდებოდეს. დავუშვათ, რომ გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლება-მოვალეობები მასთან ერთად კვდება და არ გადადის სხვა პირებზე. ძნელი წარმოსადგენია ის ქაოსი, რასაც იგი შეიტანს იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებშიც გარდაცვლილი სიცოცხლის პერიოდში მონაწილეობდა. უპირველეს ყოვლისა, ეს უკიდურესად მზიძე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდებდა გარდაცვლილის იმ ახლო ნათესავებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო საშუალებები; გამოიწვევდა უამრავი სამეწარმეო საზოგადოების კრახს, რადგან მათი შეუფერხებელი და კომპეტენტური მართვა შეუძლებელი გახდებოდა; ცუდ პირობებში აღმოჩნდნენ გარდაცვლილის კრედიტორები, რადგან მათ არ ეცოდინებოდათ ვისთვის უნდა მიერმათათ თავიანთი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად; მნიშვნელოვნად დაეცემოდა ადამიანების შრომითი საქმიანობის აქტივობა, რადგან გაურკვეველი იქნებოდა თუ რა გზებით უნდა გამოეყენებინათ დაგროვილი ქონება ოჯახის წევრებისა და ახლობლების სასარგებლოდ, რომელთა ძიებაში კანონმდებელი ადამიანი მრავალჯერ გახდებოდა კანონის უნებლიე დამრღვევი. დაბოლოს, მემკვიდრეობის უარყოფა ეწინააღმდეგება თვით საკუთრებისა და

<sup>4</sup> ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გვ. 21

საკუთრების უფლების ბუნებას, რადგან მსგავს შემთხვევაში იგი გადაიქცევა დროებით უფლებად – სიკვდილი ხომ გარდაუვალია.<sup>5</sup>

## 2.2. კანონით მემკვიდრეობისა და ანდერძით მემკვიდრეობის შედარება

საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება რეგულირდება მრავალი კანონით, ძირითადი მარეგულირებელი ნორმები კი თავმოყრილია სამოქალაქო სამართლის კოდექსში, კერძოდ კოდექსის ცალკე თავში “მემკვიდრეობის სამართალი”, წიგნი მეექვსე, მუხლები 1306-1503.<sup>6</sup>

მემკვიდრეობის ქვეშ იგულისხმება გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების (სამკვიდროს) გადასვლა სხვა პირზე (მემკვიდრეზე). სამკვიდროს მიღებით მემკვიდრე გახდება ამ ქონების მესაკუთრე სამკვიდროს გახსნის დროიდან და მასზე გადავა ყველა ის ქონებრივი უფლება (აქტივი) და მოვალეობა (პასივი), რომლებიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში წარმოეშვა, გარდა ამ უკანასკნელის პირადი ხასიათის უფლება-მოვალეობებისა, აგრეთვე იმ უფლება-მოვალეობებისა, რომლებიც ხელშეკრულებიდან ან კანონიდან გამომდინარე მოქმედებს მხოლოდ კრედიტორ-მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი გარდაცვალებისას. მემკვიდრეობით შეიძლება გადავიდეს არა მხოლოდ ქონებრივი, არამედ არაქონებრივი ხასიათის უფლებებიც და მოვალეობებიც.<sup>7</sup>

## 2.3 კანონით გათვალისწინებული მემკვიდრეთა წრე, სამკვიდროს მიღების სამართლებრივი საფუძვლები

გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონება სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) გადადის. მემკვიდრეები მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეები ხდებიან კანონით ან ანდერძით. მაშასადამე, არსებობს მემკვიდრეობის ორი სახე – კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა. ამის მიხედვით მემკვიდრეებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი შეიძლება იყვნენ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეები. თუმცა, შესაძლებელია პირი ორივე საფუძვლით იყოს მემკვიდრე. მაგალითად, თუ ანდერძით მემკვიდრე ამავე დროს კანონით მემკვიდრეთა იმ რიგს მიეკუთვნება, რომელიც

<sup>5</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 12-13

<sup>6</sup> გოგოლაძე დ., უარი სამკვიდროს მიღებაზე და მისი სამართლებრივ შედეგები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თბილისი, 2011, გვ. 1

<sup>7</sup> გოგოლაძე დ., უარი სამკვიდროს მიღებაზე და მისი სამართლებრივ შედეგები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თბილისი, 2011, გვ. 1

მოწვეული იქნება ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების (ქონება, რომელიც ანდერძით არ არის გათვალისწინებული) მისაღებად, მაშინ იგი მიიღებს ანდერძით გათვალისწინებულ ქონებას და შესაბამის წილს ანდერძით გათვალისწინებული სამკვიდროდან, ორი შვილიდან, თუ ერთ-ერთს ეანდერძა სამკვიდროს ნახევარი, მეორე ნახევრიდან ის სხვა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებთან ერთად მიიღებს წილს, როგორც კანონით მემკვიდრე.<sup>8</sup>

კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები არიან პირები, რომლებიც: 1. ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის ანუ გარდაცვლილი პირის გარდაცვალების მომენტისათვის. 2. ასევე შვილი, რომელიც ჩაისახა გარდაცვლილი პირის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 10 თვის განმავლობაში ცოცხალი დაიბადა.<sup>9</sup>

ანდერძით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ ნებისმიერი ის პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის ანუ გარდაცვლილი პირის გარდაცვალებამდე. მოანდერძეს შეუძლია თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს უცხო პირსაც.<sup>10</sup>

სამოქალაქო კოდექსის 1307 მუხლის თანახმად, მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ:

ა. კანონით მემკვიდრეობის დროს - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან;

ბ. ანდერძით მემკვიდრეობისას - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.

რაც შეეხება იურიდიული პირის მემკვიდრეობის საკითხს, იურიდიული პირი მხოლოდ ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს, მაგრამ იმ პირობით, თუ ის შექმნილი იყო კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. ანდერძში იმაზე მითითება, რომ ქონება ეანდერძა იურიდიულ პირს, რომელიც შეიქმნება სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ბათილია.<sup>11</sup>

ფაქტი, რომელიც სამკვიდროს მიღების უფლებას წარმოშობს, არის პირის (მამკვიდრებლის) გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად

<sup>8</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 365-366

<sup>9</sup> კობიაშვილი მ., მემკვიდრეობა, თბილისი, 2011, გვ. 7 <http://www.library.court.ge/upload/memkvudreoba.pdf>

<sup>10</sup> იქვე. გვ. 7

<sup>11</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 368

გამოცხადება და ამ ფაქტს კანონი უწოდებს სამკვიდროს გახსნას. პირის გარდაცვალების ან მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე, ითვლება სამკვიდროს გახსნის დროდ. მაგრამ, მემკვიდრედ გახდომა, მითითებულ ფაქტთან ერთად, დამოკიდებულია იმაზე, მიიღებს თუ არ პირი მამკვიდრებლის ქონებას. ე.ი. პირი მემკვიდრე გახდება სამკვიდროს მიღების შემთხვევაში და პირიქით, თუ იგი არ მიიღებს სამკვიდროს, შესაბამისად, კარგავს მემკვიდრეობის უფლებასაც. მემკვიდრეობის მიღება ან მასზე უარის თქმა დამოკიდებულია პირის ნებაზე, იგი არის პირის უფლება და არა ვალდებულება (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას იმ სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც კანონით დაწესებული წესით მასზე გადავა) და ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს მემკვიდრე თავის ამ უფლებას, რადგანაც სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება სამკვიდროს მიღებას ან მის მიღებაზე უარს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს როგორც სამკვიდროს მიღების, ასევე მასზე უარის თქმის წესსა და პირობებს. კერძოდ: როგორც უკვე აღინიშნა, მემკვიდრეს, როგორც კანონით, ასევე ანდერძით, სამკვიდროზე უარის თქმის უფლება აქვს და ამასთან არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მიზეზზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია, რადგანაც, თუ პირი უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ ეს უფლება გადადის სხვა პირზე (პირებზე). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უარის თქმა დაიშვება, როგორც სხვა მემკვიდრის, ისე არავის სასარგებლოდ.<sup>12</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეთა წრეს და რიგითობას. კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

I. პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

II. მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები.

III. მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბების დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან.

IV. მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

V. მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

საყურადღებოა, რომ თუ წინა რიგის თუნდაც ერთი მემკვიდრე ცოცხალია, დანარჩენი რიგის მემკვიდრეები მემკვიდრეობას ვერ მიიღებენ. კანონით

---

<sup>12</sup> გოგოლაძე დ., უარი სამკვიდროს მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თბილისი, 2011, გვ. 2

მემკვიდრეობის მიღების უფლების მქონე პირთა წრე უნდა დადგინდეს მხოლოდ მაშინ, როცა არ არსებობს მამკვიდრებლის ანდერძი. აღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახად ჩანს, რომ კანონში განმტკიცებულ კანონით მემკვიდრეობაზე უფრო მაღლა დგას მოანდერძის ნება, რომელსაც ის ანდერძის საშუალებით გადასცემს. ამ მოთხოვნას შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც კანონით მემკვიდრეობა, ანუ გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში<sup>13</sup>, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი.

## 2.4 ანდერძის სამართლებრივი ბუნება - „თავისუფლების პრინციპი“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ანდერძი კანონით დადგენილი ფორმით შედგენილი მამკვიდრებლის (მოანდერძის) განკარგულებაა გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონების ბედის შესახებ. ის ცალმხრივი გარიგებაა. ასევე ცალმხრივი გარიგებაა ანდერძის შეცვლის ან გაუქმების აქტი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ქვეყნის კანონმდებლობა თავის მოთხოვნებს უყენებს ასეთ გარიგებებს. ამდენად, პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მოანდერძის ქმედუნარიანობა, ნების ნაკლი, ფორმის დაუცველობა. საერთო კოლიზიური პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულია, უპირველეს ყოვლისა, ორმხრივი გარიგებებისათვის (ხელშეკრულებებისათვის), ყოველთვის არ გამოიყენება ისეთი სპეციფიკური ცალმხრივი გარიგებებისათვის, როგორიცაა ანდერძი<sup>14</sup>. ამიტომ ჩვენი ქვეყნის, ასევე სხვა ქვეყნების მატერიალური და კოლიზიური სამართალი ცალკე აწესრიგებს ანდერძით მემკვიდრეობის საკითხებს.<sup>15</sup>

მოქმედი კანონმდებლობის ზემოხსენებული მუხლი განამტკიცებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს.<sup>16</sup> მამკვიდრებელს მემკვიდრეთა არჩევის უფლება აქვს,

---

<sup>13</sup> როსეფაშვილი ნ., მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით, თბილისი, 2013  
<https://elawjournal.wordpress.com/2012/11/09/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%97%E1%83%A3/>, (ვიზიტის დრო: 03.07.2019)

<sup>14</sup> Марышева Н.И., Международное частное право, Москва, 2000 г., ст. 425.

<sup>15</sup> ხვედელიანი დ., ანდერძით მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, სამართლის ჟურნალი #1, თბილისი, 2009, გვ. 219

<sup>16</sup> გრიგოლია თ., ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე), თბილისი, 2011

<https://elawjournal.wordpress.com/2011/11/20/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90/>, (ვიზიტის დრო: 05.07.2019)

რამდენადაც მას შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება დაუტოვოს არა მხოლოდ პირებს მემკვიდრეთა წრიდან, არამედ ასევე გარეშე პირებსაც. გამომდინარე იქიდან, რომ ანდერძი კანონით დადგენილი ფორმით მამკვიდრებლის მიერ შედგენილი განკარგულებაა გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონების ბედის შესახებ. ეს არის ცალმხირვი გარიგება, სადაც მხოლოდ მოანდერძის ნებაა გამოხატული და მის შესაღვენად მემკვიდრის თანხმობა საჭირო არ არის.<sup>17</sup>

ანდერძით მოანდერძეს შეუძლია გაანაწილოს როგორც თავისი მთლიანი ქონება ისე მისი ნაწილი. ანდერძი შეიძლება იყოს ორი სახის: **შინაურული და სანოტარო ფორმით შედგენილი**. შინაურული ანდერძი შეიძლება შეადგინოს მოანდერძემ, მოაწეროს ხელი და საკუთარი სურვილისამებრ შეინახოს. თუმცა სანოტარო ფორმა უფრო საიმედოა. სანოტარო ფორმა გულისხმობს, რომ მოანდერძის მიერ შედგენილი ანდერძი უნდა დაადასტუროს ნოტარიუსმა, ხოლო სადაც ნოტარიუსი არ არის კანონი ითვალისწინებს თანამდებობის პირთა წრეს რომლებიც გათანაბრებულნი არიან ნოტარიუსთან<sup>18</sup> და რომლებიც დაკონკრეტებულია სამოქალაქო კოდექსის 1359-ე მუხლში.

მოანდერძეს სურვილისამებრ შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს ანდერძი ნებისმიერ დროს და შეადგინოს ახალი. ანდერძზე აუცილებლად უნდა მიეთითოს თარიღი. თუკი მოანდერძემ შეადგინა ერთზე მეტი ანდერძი, ძალაშია ის, რომელიც უფრო გვიანდელი თარიღით არის დათარიღებული. ხოლო თუკი არსებობს შინაურული და სანოტარო ფორმის ანდერძები, ძალაშია სანოტარო ფორმით შედგენილი ანდერძი შედგენის თარიღის მიუხედავად. რაც შეეხება ანდერძის შინაარსს მოანდერძეს სურვილისამებრ შეუძლია უანდერძოს თავისი ქონება ნებისმიერ პირს, მათ შორის სახელმწიფოსაც. მოანდერძეს უფლება აქვს მემკვიდრეობის გარეშე დატოვოს როგორც ერთი ასევე ყველა კანონით მემკვიდრე, ისე რომ ამის მოტივი არ მიუთითოს. ანდერძის გახსნა და აღსრულება ხდება მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ. ანდერძის დატოვებით მოანდერძე ბევრ გაუგებრობას ააცილებს თავის მემკვიდრეებს მემკვიდრეობის განაწილების დროს.<sup>19</sup>

ერთის მხრივ, ანდერძის თავისუფლების პრინციპისთვის დამახასიათებელ თავისებურებას ოდითგანვე წარმოადგენდა მისი აბსოლუტური ხასიათის ერთგვარი შეზღუდვა. მოანდერძეს არ უნდა ჰქონოდა მთელი თავისი ქონების ანდერძით

---

<sup>17</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 395

<sup>18</sup> როსეფაშვილი ნ., მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით, თბილისი, 2013  
<https://elawjournal.wordpress.com/2012/11/09/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%97%E1%83%A3/>, (ვიზიტის დრო: 03.07.2019)

<sup>19</sup> იქვე.

მემკვიდრეთა შორის სრულად განაწილების უფლება. ქონების გარკვეული ნაწილი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო ანდერძის მიღმა და გამოყენებული უნდა ყოფილიყო ოჯახის წევრების ინტერესების დასაცავად. ან ანდერძით ქონება ისე უნდა ყოფილიყო განაწილებული, რომ არ ყოფილიყო საჭირო ამ მუხლის გამოყენება. ოჯახის წევრებს გარანტირებული უნდა ჰქონოდათ მოანდერძის ქონებიდან წინასწარ განსაზღვრული წილის მიღების შესაძლებლობა. ასეთ პირებს ჯერ კიდევ რომის სამართალში სავალდებულო მემკვიდრეებს უწოდებდნენ.<sup>20</sup> ანდერძის თავისუფლების ასეთი შეზღუდვა დღემდე მემკვიდრეობის სამართლის პროგრესულ ნიშნად ითვლება. შესაბამისად, სავალდებულო წილი მემკვიდრეობაში ნიშნავს, მოანდერძის ქონებიდან კანონით განსაზღვრული პირების მიერ წინასწარ დადგენილი ოდენობით წილის მიღების უფლებას, ანდერძის შინაარსის მიუხედავად. კანონი ასევე განსაზღვრავს სავალდებულო მემკვიდრეებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ: მამკვიდრებლის შვილები, მშობლები და მეუღლე.<sup>21</sup>

### 3. მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ზოგიერთი პრობლემური საკითხი

მემკვიდრეობის სამართლის წარმოშობა და განვითარება ფაქტობრივად გამოიწვია საკუთრების წარმოშობამ, ანუ პირველყოფილი თემური წყობილების დროს, როდესაც ადამიანმა გადაწყვიტა ეცხოვრა დამოუკიდებლად და შეექმნა საკუთარი ქონება, შეექმნა მატერიალური სიკეთე, რომლის გამოყენებასაც იგი შეძლებდა, შეიქმნა უცილებლობა, რომ ამ ადამიანის გარდაცვალების შემდგომ ეს ქონება ვინმეს დარჩენოდა, ანუ მის მემკვიდრეს. მემკვიდრეობის უფლება ახდენს უდიდეს გავლენას როგორც ქონების მიღებაზე და მის განაწილებაზე მემკვიდრეებს შორის, ისე ქონების მიღებიდან გამომდინარე ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე.

#### 3.1. კავშირი მემკვიდრეობის უფლებასა და საკუთრების უფლებას შორის

საკუთრების უფლება არის ელემენტარული ძირითადი უფლება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ადამიანის პიროვნულ თავისუფლებასთან. მისი დანიშნულებაა, ინდივიდებს შეუქმნას ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისთვის ის თავისუფალი

<sup>20</sup> გრიგოლია თ., ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე), თბილისი, 2011

<https://elawjournal.wordpress.com/2011/11/20/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%97->

[%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90/](https://elawjournal.wordpress.com/2011/11/20/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90/), (ვიზიტის დრო: 05.07.2019)

<sup>21</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 401.

სივრცე, რომელიც მას მისცემს საშუალებას საკუთარი პასუხისმგებლობით მოიწყოს პირადი ცხოვრება. საკუთრების უფლებისა და პიროვნული თავისუფლების უფლების ურთიერთკავშირი შინაგანია და ამ კავშირში საკუთრების უფლება ასრულებს პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფი ფაქტორის ფუნქციას<sup>22</sup>. სხვა მხრივ, საკუთრების უფლების შეზღუდვა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს პიროვნული თავისუფლების შეზღუდვას. პირიქით, მისი მიზანია ურთულეს საზოგადოებრივ ურთიერთობებში ისეთი ოპტიმალური საკუთრებითი რეჟიმის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელს გახდის პიროვნების უნარისა და შესაძლებლობების ფართოდ განვითარებას.<sup>23</sup>

საკუთრების არსებითი შინაარსი მდგომარეობს მის ექსკლუზიურობაში, გამორიცხოს ყველა ადამიანი სხვა პირის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისა და განკარგვისაგან. საკუთრების უფლების ექსკლუზიურობა პირს აძლევს ძალაუფლებას, დაუპირისპირდეს სხვა ნებისმიერი პირის ჩარევას<sup>24</sup><sup>25</sup>. ნივთის განკარგვისა და სარგებლობის უფლებების ერთმანეთისაგან განცალკევების შემთხვევაში, მოცემულია არა საკუთრების ფუნქციონალურად დაყოფადი სფეროები, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დოგმატიკის მიხედვით, ერთიანი საკუთრების უფლება, რომლისგანაც მხოლოდ სანივთო უფლებების („iura in re aliena“) სახით ცალკეული უფლებამოსილებების გამოყოფა ხდება.<sup>26</sup> ეს მოსაზრება შეესაბამება რომის სამართლის საკუთრების კლასიკურ ცნებას, რომლის მიხედვითაც ნივთი არ შეიძლება წარმოადგენდეს ორი ადამიანის ერთპიროვნულ საკუთრებას (დიგესტები 13.6. 5. 15). საკუთრება ყოველთვის არის „dominium plenum“.<sup>27</sup>

სანივთო უფლებები, ისევე როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლებები, განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებებს. სამართლის ნორმების სუბიექტია ადამიანი და არა ნივთი. სამართალი არის ადამიანთა ქცევის წესების სისტემა და გამომდინარე აქედან, აბსოლუტური უფლებების დამახასიათებელი თვისება არის ყველა ადამიანის ვალდებულება, პატივი სცენ აბსოლუტური უფლების მფლობელის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას და არ ხელყონ იგი. სანივთო უფლებების აბსოლუტურობა

<sup>22</sup> ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, გვ. 109

<sup>23</sup> თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2016  
<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/07/Artikel-170.pdf>

<sup>24</sup> ზარანდია თ./ჯულელი თ., საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება, პროფესორ რომან შენგელიას საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012, გვ. 300

<sup>25</sup> ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 83.

<sup>26</sup> თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2016,  
<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/07/Artikel-170.pdf> გვ. 2-3

<sup>27</sup> Säcker F.J./Rixecker R./Oetker H./Limperg B. (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 6 Aufl., 2013. § 903. Rn. 6

გულისხმობს, თუ რომელი უფლებები და სამართლებრივი სიკეთეები არის ყველა პირისაგან სამართლებრივი წესრიგით დაცული.<sup>28</sup>

საკუთრების უფლება მემკვიდრეობის სამართალში ვრცელდება სამკვიდრო ქონებაზე.

მემკვიდრეობის სამართალში ყველაზე აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს სამკვიდრო. იგი არის იმ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ გადადის მემკვიდრეზე. თუ არ არის სამკვიდრო, არ იქნება მემკვიდრეობაც. უფრო კონკრეტულად — სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის როგორც იმ ქონებრივ უფლებებს, ანუ სამკვიდრო აქტივს, ისე მოვალეობებს, ანუ სამკვიდრო პასივს, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდრო აქტივისა და პასივის ერთობლიობა სამკვიდრო ქონებას, ანუ სამკვიდრო მასას წარმოადგენს.<sup>29</sup>

სამკვიდრო ქონებად მიჩნეულია ქონებრივი და არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე. რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდრო ქონებაში შედის აგრეთვე საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა (იმ შემთხვევაში, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ - ამ ქონების ღირებულება).<sup>30</sup>

სამკვიდროს ცნება მოიცავს არა კონკრეტულ ქონებას, არამედ უფლებას ამ ქონებაზე. მაგალითად, სამკვიდროში შედის არა სახლი, არამედ უფლება მასზე, არა აგარაკი, არამედ უფლება მასზე, არა საწარმო, არამედ უფლება მასზე და ა.შ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამკვიდრო ქონებაში არ შედის მამკვიდრებლის პიროვნებასთან დაკავშირებული პირადი ქონებრივი ხასიათის უფლებები და მოვალეობები, რომელიც მის გარდაცვალებასთან ერთად ისპობა.<sup>31</sup>

მემკვიდრეობის უფლება და საკუთრების უფლება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მემკვიდრეობის უფლება გააჩნიათ ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ცოცხალი იყო ან ჩასახული იყო და ცოცხლად დაიბადა მამკვიდრებლის გარდაცვალებისას, და იურიდიულ პირებს, რომლებიც დაფუძნებულები იყვნენ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე. ხოლო საკუთრების უფლება გააჩნია ადამიანს დაბადებიდან და

<sup>28</sup> თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2016, <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/07/Artikel-170.pdf> გვ. 4

<sup>29</sup> შენგელია რ., მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2007, გვ.29

<sup>30</sup> ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000, გვ. 29

<sup>31</sup> იქვე, გვ. 30

იურიდიულ პირს დაფუძნებისთანავე. ამავდროულად, მათი საერთო მახასიათებელია ქმედუნარიანობის საკითხი, იმისათვის რომ პირს გააჩნდეს მემკვიდრეობის ან საკუთრების უფლება არ არის აუცილებელი ქმედუნარიანობა, თუმცა ქმედუნარიანობა აუცილებელია მამკვიდრებლისთვის. ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მამკვიდრებლის ქმედუნარიანობა.

### **3.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის კონსტიტუციურობის საკითხის მიმოხილვა**

1371-ე მუხლის არსებობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მიიჩნევა პროგრესულად, თუმცა ამ მიდგომას არ ვეთანხმები, ეს განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ის ქონება, რომელიც გააჩნია მამკვიდრებელს, წარმოადგენს მის საკუთრებას, იგი არის ამ ქონების მთლიანობაში როგორც ფლობის, მართვის, ისე განკარგვის უფლებით აღჭურვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. აღნიშნული წააგავს საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლს, რომლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“ და ასევე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

ყოველივე აღნიშნულს მივყავართ საკითხამდე, არის თუ არა კონსტიტუციური სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება? შესაბამისად, როგორც საკუთრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ (შეუზღუდავ) უფლებას, ისე ანდერძის თავისუფლების პრინციპიც ერთგვარ ფიქციას წარმოადგენს, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლში.

წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელს კატეგორიულად სურდა, რომ მის მეუღლეს ან შვილს, რომლებიც ცუდად იყვნენ განწყობილნი მის მიმართ და არ ჰქონდათ მასთან კარგი დამოკიდებულება, არ მიეღოთ მამკვიდრებლის ქონებიდან წილი და, შესაბამისად, ამ პირმა მთელი თავისი ქონება უანდერძა ძმისშვილს ან სხვა მესამე პირს, მაგრამ არა სავალდებულო მემკვიდრეს. თუმცა მამკვიდრებელმა პირდაპირ არ აღნიშნა იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ ტოვებდა თავის ცოლსა და შვილს ქონების გარეშე. როდესაც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ანდერძი გაიხსნებოდა აღმოჩნდებოდა, რომ მთელი თავისი ქონება, რომელიც მამკვიდრებელმა ანდერძით დაუტოვა გარეშე პირს კანონით მემკვიდრეთა წრიდან, მიუხედავად მისი უკანასკნელი სურვილისა სავალდებულო მემკვიდრეები მაინც მიიღებდნენ წილს მამკვიდრებლის ქონებიდან, რომელიც ხშირ შემთხვევებში შესაძლოა იმაზე მეტი აღმოჩნდეს, რასაც

მიიღებს ანდერძით მემკვიდრე. ეს იმ შემთხვევებში, როდესაც კანონით მემკვიდრეთა რაოდენობა მცირეა, ხოლო წილი რომელიც ანდერძით მემკვიდრემ უნდა გამოყოს კანონით მემკვიდრეთა დასაკმაყოფილებლად თითოეულისათვის ცალკე აღებული შესაძლოა იმაზე მეტი აღმოჩნდეს ვიდრე ის რასაც მიიღებს ანდერძით მემკვიდრე.<sup>32</sup> მაგალითად: სამკვიდრო ქონება არის 1 000 000 ლარი. მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ერთ მემკვიდრეს, რომელიც არ არის კანონით მემკვიდრეთა რიგიდან. მამკვიდრებელს ასევე დარჩა ერთი სავალდებულო მემკვიდრე (შვილი), რომელიც არ იყო ანდერძში გათავალისწინებული. მოთხოვნის შემთხვევაში მამკვიდრებლის შვილი მიიღებს 1 000 000/2=500 000 ლარს. ანუ სავალდებულო წილი მოანდერძის შვილისთვის იქნება 500 000 ლარი ხოლო დარჩენილ ნაწილს ასევე 500 000 ლარს მიიღებს ანდერძით მემკვიდრე. შედეგად მივიღეთ, რომ კანონით მემკვიდრემ მიიღო ქონების ნახევარი, მაშინ როდესაც ის არც კი ყოფილა ანდერძში ნახსენები. რამდენადაც აბსურდულად არ უნდა ჟღერდეს სწორედ ეს (სავალდებულო წილი) მიიჩნევა მემკვიდრეობითი სამართლის პროგრესულ ნიშნად.<sup>33</sup>

საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის VI წინგნს, რომელშიც მრავალი მუხლია და იგი მიმართულია მემკვიდრეების ინტერესების დაცვისაკენ, მასში ჩამოყალიბებულია მათი უფლებები და მოვალეობები, მაგრამ არსად, არცერთ მუხლში არ არის საუბარი მამკვიდრებლის ინტერესებზე და მის უფლებებზე, კანონი ფაქტიურად არ იცავს არც ანდერძის თავისუფლებას და არც მამკვიდრებლის ბოლო ნების თავისუფლების პრინციპებს.

შესაბამისად, სწორად მიმაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსში არა ცალკე მუხლის სახით, არამედ, შესაძლოა 1371-ე მუხლის დამატების სახით გათვალისწინებულ იქნას შემდეგი: თუ ანდერძით მთელი სამკვიდროა გათვალისწინებული სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა. საბოლოოდ კი 1371-ე მუხლის ჩემეული ვერსია მიიღებს შემდეგ სახეს:

1. მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. (სავალდებულო წილი).

---

<sup>32</sup> გრიგოლია თ., ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე), თბილისი, 2011  
<https://elawjournal.wordpress.com/2011/11/20/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90/>, (ვიზიტის დრო: 05.07.2019)

<sup>33</sup> იქვე.

2. თუ ანდერძით მთელი სამკვიდროა გათვალისწინებული სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.<sup>34</sup>

აღნიშნული გარკვეულწილად დაიცავს მოანდერძის ინტერესებს და შესაბამისად შეზღუდავს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებას კანონით მემკვიდრეების მიერ. კანონით მემკვიდრეებს დარჩებათ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოანდერძე ანდერძით გაითვალისწინებდა სამკვიდროს მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, ხოლო ის ქონება, რომელიც დარჩებოდა ანდერძს მიღმა, რაც უნდა განაწილდეს კანონით მემკვიდრეებს შორის, იქნებოდა გაცილებით მცირე იმასთან მიმართებით, რასაც კანონით მემკვიდრეები მიიღებდნენ სავალდებულო წილის სახით სამკვიდრო ქონებიდან. ანუ აღნიშნული მუხლი კი არ გააუქმებს სავალდებულო წილის ცნებას, არამედ დააწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მისი მოთხოვნისას.

#### **4. მემკვიდრეობის ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძვლები**

სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მარტო იმ პირთა წრე, რომლებსაც გააჩნიათ მემკვიდრეობის უფლება, არამედ იმათიც, ვისაც შეიძლება ჩამოერთვას იგი. ჩამორთმევა გულისხმობს მემკვიდრედ გახდომის შესაძლებლობის აკრძალვას. ასეთ პირებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება უღირსი მემკვიდრე.<sup>35</sup>

არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე).

#### **4.1. მემკვიდრეობის უფლება სსკ-ის 1311-ე მუხლის მიხედვით**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1311-ე მუხლის თანახმად შვილების კანონით მემკვიდრეებად ვერ იქნებიან მშობლები, რომლებსაც ჩამოერთმევათ მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნის დღისათვის არ არიან აღდგენილნი ამ უფლებებში. კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე პირნი, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 23.

მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით.

მშობლის უფლების ჩამორთმევა ეხება მხოლოდ იმ შვილებს, რომელთა მიმართ მშობლები (ან ერთ–ერთი მათგანი) უხეშად არღვევენ თავიანთ მოვალეობებს. ამიტომ მშობლების მემკვიდრეობის საკითხი იმ შვილების გარდაცვალების შემდეგ, რომელთა მიმართაც მშობლის უფლება ჩამორთმეული არ ჰქონდათ, დადებითად უნდა გადაწყდეს. მშობლები იმ შვილების მემკვიდრეები არიან, რომელთა მიმართაც არ ჰქონდათ ჩამორთმეული მშობლის უფლება.<sup>36</sup>

საერთო წესის მიხედვით, შესაძლებელია მშობლის უფლების ჩამორთმევა ერთი ან რამდენიმე შვილის მიმართ. ასევე შესაძლებელია მშობლის უფლება ჩამოერთვათ ერთ ან ორივე მშობელს. უღირს მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს ის მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება კონკრეტული შვილის მიმართ. ამიტომ, თუ გარდაიცვალა ის შვილი, რომლის მიმართაც მშობლის უფლება არ იყო ჩამორთმეული, ასეთ შემთხვევაში მშობელი კანონით მემკვიდრის უფლებას შეინარჩუნებს. სხვა შვილის მიმართ მემკვიდრეობა მას არ გააჩნია, რადგან უღირსი საქციელი ჩაიდინა და მშობლის უფლება ჩამოერთვა.<sup>37</sup>

როგორც ვხედავთ, მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძველი მშობლებისთვის არის ის გარემოება, რომ მათ სსკ-ის 1206-ე მუხლის შესაბამისად ჩამორთმეული ჰქონდათ მშობლის უფლება და მამკვიდრებლის გარდაცვალების დღისთვის სსკ-ის 1209-ე მუხლის მიხედვით არ იყვნენ ამ უფლებებში აღდგენილნი. პირს მშობლის უფლება ჩამოერთმევა, თუ იგი სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობის შესრულებას, ბავშვს უხეშად ექცევა ან სსკ-ის 1206-ე მუხლით დადგენილ სხვა ქმედებებში ამხელენ.<sup>38</sup>

ნორმის მეორე წინადადებით, კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე პირნი, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრებელი. აქ იგულისხმება ის შემთხვევები, როცა, მაგალითად, მშობელი, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ჩამორთმეული არ ჰქონდეს მშობლის უფლება, არ არჩენდა არასრულწლოვან შვილს. მას ეს მოვალეობა სსკ-ის 1212-ე მუხლით აკისრია. კანონით მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთმევათ შვილებს, თუ სსკ-ის 1218-ე მუხლის მიხედვით არ არჩენდნენ შრომისუუნარო მშობლებს.<sup>39</sup> აღნიშნული წესი უნდა გავრცელდეს სხვა პირებზედაც, კერძოდ, ბებიასა და პაპაზე, შვილიშვილზე, დასა და

<sup>36</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 368

<sup>37</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 24

<sup>38</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ. 10

<sup>39</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 369

ძმაზე და ა.შ. თუ მათ ევალებოდათ მამკვიდრებლის რჩენა და ბოროტად არიდებდნენ თავს ამ მოვალეობის შესრულებას, ეს მოვალეობები მოცემულია სსკ-ის 1223, 1224 და 1225 მუხლებში. საინტერესო იქნებოდა რამდენად შეიძლება ანალოგიით გავრცელდეს სსკ-ის 1206-ე მუხლით დადგენილი შემთხვევები ამ პირებზე, რათა ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება. მაგ. ბაბუამ შვილიშვილი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში. ნორმის მიზნიდან გამომდინარე ეს დასაშვებია.<sup>40</sup>

ასეთ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ არა მარტო მშობლები, არამედ სხვა პირებიც – და-ძმა, ბებია და პაპა და სხვა. თუ ისინი ადრე ბოროტად არიდებდნენ თავს მამკვიდრებლის რჩენის მოვალეობას. შეიძლება პირს მშობლის უფლება არ ჰქონდეს ჩამორთმეული, მაგრამ ისე იქცეოდეს შვილის მიმართ უღირსად – ბოროტად თავს არიდებდეს ალიმენტის გადახდას. არასრულწლოვანი და მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე პირის მიმართ რჩენის ვალდებულება შეიძლება სხვა პირებსაც ჰქონდეთ. ნებისმიერ მათგანს ჩამოერთმევა კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ ამ მოვალეობას არ ასრულებენ.<sup>41</sup> ასეთი აკრძალვა ვრცელდება არა მარტო მშობლების, არამედ ბებიისა და პაპის, და-ძმების, შვილიშვილების და სხვათა კანონით მემკვიდრეებზე. მაგალითად, ბებიის გარდაცვალებისას უნდა ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება იმ შვილიშვილს, რომელსაც კანონით ევალებოდა მისი რჩენის მოვალეობა, მაგრამ ბოროტად არიდებდა თავს ამ მოვალეობის შესრულებას, რაც დადასტურებულია სასამართლო წესით.<sup>42</sup>

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე პირები, რომლებიც ბოროტად თავს არიდებენ მამკვიდრებლის რჩენის მოვალეობას, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით. ამასთან აუცილებელია კონკრეტულად იმ პირზე მითითება, რომელიც არ შეიძლება იყოს მემკვიდრე რჩენის მოვალეობის შეუსრულებლობის გამო. ეს იმიტომაცა საჭირო, რომ კანონი ყველა მემკვიდრეს მამკვიდრებლის რჩენის მოვალეობას არ აკისრებს. თავიანთი არასრულწლოვანი და სრულწლოვანი, მაგრამ არაშრომისუნარიანი შვილების რჩენა უპირველესად მშობლებს ეკისრებათ, ამიტომ თუ მშობლები ბოროტად არიდებენ თავს ამ მოვალეობის შესრულებას, მაშინ შვილების გარდაცვალების შემდეგ ისინი კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან. კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან, ასევე, სრულწლოვანი შვილები თავიანთი მშობლების გარდაცვალების შემდეგ, როცა ისინი მოვალენი იყვნენ

<sup>40</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ. 10

<sup>41</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 25

<sup>42</sup> იქვე.

ერჩინათ არაშრომისუნარიანი მშობლები, მაგრამ ბოროტად არიდებდნენ თავს ამ მოვალეობის შესრულებას.<sup>43</sup>

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ლაპარაკია მხოლოდ კანონიერი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაზე. რაც შეეხება ანდერძით მემკვიდრეობას, იგი მსგავს აკრძალვებს არ ითვალისწინებს. ანდერძი ხომ მამკვიდრებლის ნებას გამოხატავს. მას კი შეუძლია აპატიოს და უანდერძოს ქონება მშობლის უფლებაჩამორთმეულ ღვიძლ მშობელს ან სხვა პირს, მაგალითად, შვილს ან შვილიშვილს, რომელიც ბოროტად არიდებდა თავს მის მიმართ ალიმენტის გადახდას. ასეთ შემთხვევებში ანდერძი სამართლებრივად უხარვეზოდ უნდა ჩაითვალოს.<sup>44</sup>

რაც შეეხება სსკ-ის 1310-ე მუხლს, აქ მემკვიდრის უღირსი ქმედების შესახებ მამკვიდრებელმა შეიძლება საერთოდ არ იცოდეს და ისე დაწეროს მისთვის სასარგებლო ანდერძი, ამიტომაც კანონი მიუთითებს ანდერძით მემკვიდრეობის ჩამორთმევაზეც, თუ მამკვიდრებელი ანდერძში სპეციალურად არ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ იცის მემკვიდრის არაკეთილსინდისიერი ქმედებების შესახებ, მაგრამ მაინც პატიობს მას (სსკ-ის 1313-ე მუხლი). ამ დროს არა აქვს ადგილი ანდერძის ბათილად ცნობას, რადგან სახეზე არაა მისი საფუძვლები. ანდერძი ნამდვილია, მაგრამ სსკ-ის 1310-ე მუხლის მიხედვით, პირს ერთმევა ანდერძით მემკვიდრეობის უფლება, ვინაიდან მხილებულია უღირს ქცევაში.<sup>45</sup>

## **4.2. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის ერთ-ერთი საფუძველი - „უღირს მემკვიდრედ ცნობა“**

### **4.2.1 სისხლისსამართლებრივი დანაშაული, როგორც უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი**

სისხლის სამართლებრივი დანაშაული, როგორცაა მამკვიდრებლის განზრახ მკვლელობა მემკვიდრის მიერ, იწვევს „გარემოებების უკიდურეს ცვლილებას მემკვიდრეობის თანმიმდევრობასთან მიმართებაში“<sup>46</sup>, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული ქმედების განმახორციელებელი პირი კარგავს უფლებას სამკვიდროზე, იგი ხდება „უღირსი მემკვიდრე“. ადამ ჰირშის სტატიაში მითითებულია, რომ

<sup>43</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 368-369

<sup>44</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 26

<sup>45</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ. 11

<sup>46</sup> Cohen Nili. Slayer Rule (2012). 92 Boston U L Rev 793 – 810 (2012). P.799

[https://www.bu.edu/law/journals-archive/bulr/documents/cohen\\_000.pdf?fbclid=IwAR1zVn1zG-Ox2lVYIOCNto2K85\\_z3AyBs9s4g-vCkZZvM2CuXU8AjGMVKj0](https://www.bu.edu/law/journals-archive/bulr/documents/cohen_000.pdf?fbclid=IwAR1zVn1zG-Ox2lVYIOCNto2K85_z3AyBs9s4g-vCkZZvM2CuXU8AjGMVKj0)

მემკვიდრეობით სამართლისათვის დამახასიათებელი გარემოებების მნიშვნელოვანი ცლილებების ყველა სიტუაცია იყოფა ორ ჯგუფად: პირველი, როდესაც მამკვიდრებელი არ არის მოკლებული შესაძლებლობას თავიდან შეადგინოს ანდერძი, რადგან იგი შეესაბამებოდეს შეცვლილ გარემოებებს. ამ შემთხვევაში ჰირშის აზრით სასამართლოს ჩარევა ანდერძით განსაზღვრული ნების გამოვლენაში არ არის სასურველი და არ საჭიროებს. მეორე ჯგუფს განეკუთვნება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მამკვიდრებელი მოკლებულია შესაძლებლობას საკუთარი ნებითა და სურვილისამებრ შეცვალოს ანდერძი, ვინაიდან მამკვიდრებელი არის გარდაცვლილი.<sup>47</sup> მიმაჩნია, რომ სასამართლოს ჩარევა აღნიშნულთან დაკავშირებით სასურველი და სავალდებულოც კი არის, იმისათვის, რომ ანდერძით განსაზღვრული ქონების ბედი შეესაბამებოდეს მამკვიდრებლის ნება-სურვილს, რომელსაც იგი გაითვალისწინებდა ანდერძში სხვა შემთხვევაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი ცალსახად არის მკვლელობა. განვიხილავ უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, რომელიც აყალიბებს საინტერესო მიდგომას. მამკვიდრებლის პირდაპირი მემკვიდრე იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მეორე პირთან, რომელმაც განზრახ მოკლა მამკვიდრებელი. აღნიშნული კი მემკვიდრესათვის ცნობილი იყო, მაგრამ მან არ განაცხადა სამართალდაცავ ორგანოში ამ ფაქტის შესახებ, თუმცა მას გააჩნდა ამის რეალური შესაძლებლობა. პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნული არ ჩათვალეს უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველად, რაზეც უზენაესმა სასამართლომ განსხვავებულად იმსჯელა. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის ნაწილში, დაეფუძნა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმგვარ ფაქტობრივ გარემოებებს, როგორიცაა: მოსარჩელის მიერ მშობლის - მამის წინაშე ჩადენილი გაუმართლებელი საქციელი, სასტიკად მოკლული მამის ხსოვნისადმი სრული უპატივცემულობა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასეთ ვითარებაში, შვილის სრულიად ბუნებრივი ქცევა უნდა ყოფილიყო იმგვარი მოქმედება, რაც მამის მოკვლის გამო მართლმსაჯულების აღსრულებას-მკვლელის დასჯას- შეუწყობდა ხელს და არა-პირიქით.<sup>48</sup>

მინდა განვიხილო კიდევ ერთი მაგალითი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. 1989 წლის 26 აგვისტოს, ძმებმა ერიკ და ლაილ მენენდესებმა მოკლეს მათი მშობლები, მათსავე სახლში, ბევრლი ჰილსზე. მამა, ხოსე, მოკლული იყო ერთი გასროლით თავში, ხოლო დედა, ქითისათვის ნასროლი იყო რამდენჯერმე, რადგან ის ცდილობდა გაქცევას. მოსარჩელის მტკიცებით ძმებმა მოკლეს მშობლები, რათა მიეღოთ მათი 14 მილიონიანი

<sup>47</sup> Hirsch Adam J. Text and Time: A Theory of Testamentary Obsolescence. P 620-623

<https://pdfs.semanticscholar.org/3e74/2a5eaae2cc87ad90bf66b03169e2a97bbf82.pdf>

<sup>48</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე №ას-1101-1021-2017

ქონება. ძმებმა აღიარეს მკვლელობა და თავი იმართლეს, რომ მშობლები, მათზე წლების განმავლობაში ძალადობის გამო მოკლეს. საბოლოოდ, ორივე ძმას დაუმტკიცდა პირველი ხარისხის მკვლელობა და მიესაჯათ პატიმრობა სიცოცხლის ბოლომდე, გასაჩივრების უფლების გარეშე. იმის გამო რომ ისინი გასამართლებულნი არიან მათი მშობლების მოკვლისათვის, ისინი ვერ მიიღებენ მემკვიდრეობას მათი მშობლებს ქონებიდან.<sup>49</sup> მოცემულ შემთხვევაში, მემკვიდრეებ ანუ შვილებს მათი ქმედებიდან გამომდინარე არ აქვთ უფლება სამკვიდროზე.

ზემოთ აღნიშნული ბარიერები, „კვლელის სტატუსი“, როდესაც მემკვიდრეს არ შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობა მისი მშობლისაგან, რომელიც მან განზრახ, წინასწარ დაგეგმილად მოკლა. ამ წესის არსებობის მთავარი აზრი არის ის რომ ადამიანს არ შეეძლოს სარგებელი ნახოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულიდან.<sup>50</sup>

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ დანაშაულებრივი ქმედების მოტივი წარმოადგენს განხილვის საგანს. კ. სპივაკის ერთ-ერთ ნაშრომში განხილულია ისეთი შემთხვევა, როდესაც მემკვიდრემ თავისი ქმედებით, კერძოდ მამკვიდრებლის განზრახ მკვლელობით დააჩქარა სამკვიდროს მიღება. ამერიკაში გავრცელებული მიდგომის მიხედვით გასათვალისწინებელია ფაქტი და არა ქმედების მოტივი.<sup>51</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიარებ მიდგომას, რომ მნიშვნელოვანია თვითონ მკვლელობის ფაქტის არსებობა და არა მოტივი. მიუხედავად იმისა, მკვლელობა იყო თუ არა პროვოცირებული მამკვიდრებლის მიერ, გამოხატული მემკვიდრეებზე ძალადობით ან შეურაცხყოფით, შედეგი, სიცოცხლის მოსპობა, ცალსახად არის სისხლის სამართლებრივი დანაშაული, რომელიც გამორიცხავს მემკვიდრის უფლებაუნარიანობას სამკვიდროს მიმართ.

#### 4.2.2. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ

უღირს მემკვიდრედ ცნობა ხდება სასამართლოს მიერ. სსკ-ის 1312-ე მუხლის თანახმად, სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი არის ის, ვისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უღირსი მემკვიდრისთვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს. პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ მომავალ მამკვიდრებელს შეაქვს ასეთი სარჩელი, რაც, ბუნებრივია, არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ასეთი

<sup>49</sup> Law of Wills. Browne C. Lewis. P 388

[https://engagedscholarship.csuohio.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=1034&context=fac\\_books](https://engagedscholarship.csuohio.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&httpsredir=1&article=1034&context=fac_books)

<sup>50</sup> იხ. იქვე

<sup>51</sup> Spivack C. Killers Shouldn't Inherit from Their Victims – Or Should They? Vol. 48. P. 155 - 157

[https://www.georgialawreview.org/article/3305-killers-shouldn-t-inherit-from-their-victims-or-should-they?fbclid=IwAR22bxIEgKvcyKuejFsLCE-QmrY5\\_SIQK5aeakW8EE-YrArxtHINRwcVcM8](https://www.georgialawreview.org/article/3305-killers-shouldn-t-inherit-from-their-victims-or-should-they?fbclid=IwAR22bxIEgKvcyKuejFsLCE-QmrY5_SIQK5aeakW8EE-YrArxtHINRwcVcM8)

სარჩელის დაკმაყოფილება მისთვის არანაირ ქონებრივ სარგებელს არ მოიტანს<sup>52</sup>. მაგალითად, თუ მამკვიდრებლის მეუღლე სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნება უღირს მემკვიდრედ და ჩამორთმევა კანონით მემკვიდრეობის უფლება, მაშინ ქონება მემკვიდრეობით გადავა მამკვიდრებლის და-ძმაზე, თუ სხვა მემკვიდრეები მას არ ჰყავს. აქედან გამომდინარე, დას ან ძმას უფლება აქვს სარჩელი შეიტანონ სასამართლოში და მოითხოვოს რძლისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა. თუკი მამკვიდრებელს მხოლოდ და-ძმა დარჩა მემკვიდრეებად, ერთ-ერთი მათგანის აღიარება უღირს მემკვიდრედ, შესაძლებლობას უქმნის მეორე მათგანს გაუორმაგდეს მემკვიდრეობით მიღებული ქონება. ამიტომ მოსარჩელედ გამოსვლის უფლება ამ უკანასკნელს გააჩნია. სასამართლომ დეტალური ანალიზის საფუძველზე უნდა დაადგინოს ის გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედება მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას ან დაეყრდნოს სასამართლოს იმ განაჩენს, რომლითაც დასტურდება მამკვიდრებლის ან მისი მემკვიდრეების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. საკმაო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება პირისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შესახებ.<sup>53</sup>

სამოქალაქო კოდექსის 1317-ე მუხლის თანახმად, უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ სარჩელი შეტანილ უნდა იქნას ხუთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ეს პირი შეუდგა მამკვიდროს ფლობას. საინტერესოა, თუ რა ტიპის ხანდაზმულობასთან გვაქვს საქმე. სსკ-ის 128-ე მუხლი ადგენს, რომ სხვა პირისგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. „ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია სხვა პირის (მოვალის) მიმართ არსებული მოთხოვნის იძულებითი განხორციელება“.<sup>54</sup> მაგალითისთვის ავიღოთ სესხის ხელშეკრულება, მოვალეს თანხა უნდა დაებრუნებინა 2010 წლის 2 დეკემბრამდე, მაგრამ მან ვალდებულება არ შეასრულა. სსკ-ის 129-ე მუხლის დანაწესით, კრედიტორს 2013 წლის 3 დეკემბრამდე შეუძლია იძულების წესით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, რაც გამოიხატება სასამართლოსთვის მიმართვაში. თუკი კრედიტორი გაუშვებს ხანდაზმულობის ვადას, სსკ-ის 144-ე მუხლი ანიჭებს მოვალეს უფლებას, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოვალე აღიარებს, რომ ვალდებულება არსებობდა და დღესაც არსებობს, მაგრამ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო იგი იძულებით აღსრულებას აღარ ექვემდებარება.<sup>55</sup>

<sup>52</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 მაისის განჩინება #ას-265-249-2011.

<sup>53</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 26

<sup>54</sup> ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2011, გვ. 120

<sup>55</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ.10

კრედიტორს მაინც შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მოვალისგან ვალდებულების შესრულება, მაგრამ თუ მოვალე მიუთითებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, სარჩელი აღარ დაკმაყოფილდება. ამ ფაქტზე მიუთითებს მოვალის უფლება, მან უნდა განაცხადოს ამის თაობაზე შესაგებელში, სასამართლო დამოუკიდებლად მის უფლებაში ვერ შეიჭრება, რადგან დაარღვევს პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპს. ხანდაზმულობის მთავარი დაცვითი ფუნქცია მდგომარეობს სამოქალაქო სტაბილურობის უზრუნველყოფაში, რათა არ იქნას დაშვებული ერთსა და იმავე საქმეზე უსასრულო და დროში შეუზღუდავი დავა<sup>56</sup>.

სხვაგვარადაა საქმე სსკ-ის 1317-ე მუხლთან: სარჩელი უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ დაინტერესებულ პირთა მიერ წარდგენილ უნდა იქნას 5 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ეს პირი შეუდგება სამკვიდროს ფლობას. სიტყვები „სარჩელი წარდგენილ უნდა იქნას“ სულაც არ უნდა წარმოადგენდეს მხარეთა დისპოზიციურ ნებას. იგი შეიძლება გავიგოთ, როგორც სასამართლოსთვის სასარჩელო მიმართვის ხანდაზმულობა.<sup>57</sup>

ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, როცა მემკვიდრეობის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს გარეშე. სსკ-ის 1354.I მუხლი ადგენს, რომ მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მოტივზე.<sup>58</sup>

უღირსი მემკვიდრისათვის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა კონკრეტულ მამკვიდრებელსა და მას შორის ურთიერთობის ფარგლებს არ სცილდება. აქედან გამომდინარე: ა) მემკვიდრეობის უფლების დაკარგვა ხელს არ შეუშლის მისი ნათესავების მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით. მაგალითად, ძმიშვილის ბიძის კანონისმიერ მამკვიდრედ მაშინაც ჩაითვლება, როცა ცოცხალი არ არის მისი მამა, თუმცა ცოცხალი რომ ყოფილიყო, უღირს მემკვიდრედ იქნებოდა ცნობილი და მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთმეოდა. ძმისშვილი მემკვიდრეობაში გარდაცვლილი მშობლის წარმომადგენლად გამოდის. ბ) მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ხელს არ უშლის უფლებაჩამორთმეულ პირს, იყოს სხვა მამკვიდრებლის მემკვიდრე. ერთი პირი შეიძლება რამდენიმე მამკვიდრებლის მემკვიდრე იყო. თუ ერთთან ურთიერთობაში მას ჩამორთმეული აქვს მემკვიდრეობის უფლება, უნარჩუნდება იგი სხვების მიმართ. მაგალითად, თუ პირს ჩამოერთვა მშობლის მემკვიდრედ ყოფნის უფლება, ასეთ უფლებას იგი შეინარჩუნებს მეუღლის, შვილებისა და სხვათა მიმართ.<sup>59</sup>

<sup>56</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის #3/1/531 გადაწყვეტილება

<sup>57</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ.11

<sup>58</sup> იქვე, გვ. 11

<sup>59</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 27-28

შესაძლებელია პირი უღირს მემკვიდრედ ცნობილი იქნეს მას შემდეგ, რაც მამკვიდრებლის ქონება უკვე მიიღო კანონით მემკვიდრეობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია დააბრუნოს არა მარტო ქონება, არამედ მისგან მიღებული ყოველგვარი შემოსავალი და ნაყოფი. ასეთი ვალდებულება მას არ დაეკისრება მაშინ, თუ მამკვიდრებლისაგან ქონება მიიღო ანდერძით მემკვიდრეობის საფუძველზე. ჩვეულებრივ უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ხდება მამკვიდრებლის სიცოცხლეში ან მისი გარდაცვალებიდან მისი ქონების მემკვიდრეზე გადაცემამდე. არ არის გამორიცხული მემკვიდრეობის მიღების შემდეგაც დადგეს მემკვიდრის კეთილსინდისიერების საკითხი. მაგრამ მემკვიდრის მდგომარეობა არ შეიძლება მუდამ იყოს გაურკვეველი. სამოქალაქო კოდექსის 1317-ე მუხლის შესაბამისად, პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ სარჩელი დაინტერესებული პირების მიერ სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს ხუთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა მემკვიდრე შეუდგა მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფლობას. ამ სპეციალური ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ არ შეიძლება მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა.<sup>60</sup>

პირის უღირს მემკვიდრედ ცნობისა და მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში მამკვიდრებლის ქონების ის ნაწილი, რომელიც მას უნდა რგებოდა, გადადის დანარჩენ მემკვიდრეებზე და მათ შორის თანასწორად ნაწილდება.<sup>61</sup>

### 4.3. მემკვიდრეობის ჩამორთმევის სხვა საფუძვლები

კანონით მემკვიდრეობის უფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას მეუღლეს, თუ დადგინდება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად, სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა, შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ეს დანაწესი გამომდინარეობს იქიდან, რომ სსკ-ის 1340-ე მუხლის თანახმად, განქორწინებული მეუღლეები არ შეიძლება მემკვიდრეები იყვნენ ერთმანეთის გარდაცვალების შემდეგ.<sup>62</sup>

სამოქალაქო კოდექსის 1340-ე მუხლის თანახმად მემკვიდრეობისას განქორწინებული მეუღლეები არ შეიძლება მემკვიდრეები იყვნენ ერთმანეთის გარდაცვალების შემდეგ.

<sup>60</sup> შენგელია რ./ შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 28

<sup>61</sup> იქვე, გვ. 29

<sup>62</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ. 11

მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობის უფლება მათ სიცოცხლეშივე შეწყდება განქორწინების შედეგად. სასამართლოს გადაწყვეტილებით ქორწინება შეწყვეტილად ითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან. თუ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ, მაგრამ არც ერთი მეუღლე არ მიმართავს სათანადო ორგანოს განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაციის მიზნით, მაშინ ქორწინება გრძელდება და ცოცხლად დარჩენილი მეუღლე მემკვიდრეობის უფლებას ინარჩუნებს. თუ სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ არ იქნება რეგისტრირებული და განქორწინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან გავიდა არანაკლებ სამი წელი, გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლის წესები.<sup>63</sup>

სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა მეუღლეები განქორწინებული არ იყვნენ, მაგრამ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს მაინც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება გარდაცვლილი მეუღლის ქონებაზე, და ეს მაშინ, როცა სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ–ცალკე ცხოვრობდნენ, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს მემკვიდრეობის უფლება შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. აღნიშნული წესი მოქმედებს მხოლოდ კანონით მემკვიდრეობის დროს. ანდერძით მემკვიდრეობისას სამკვიდროს გახსნამდე ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტას და მეუღლეთა ცალ–ცალკე ცხოვრებას მნიშვნელობა არა აქვს და არ გამოიწვევს გარდაცვლილი მეუღლის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას.<sup>64</sup>

აგრეთვე მემკვიდრეობის უფლების დაკარგვის კიდევ ერთ წესს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის ერთ–ერთი მუხლი, კერძოდ, ცოცხლად დარჩენილი მეუღლე დაკარგავს მემკვიდრეობის უფლებას, თუ არსებობდა ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველი და მამკვიდრებლის მიერ სარჩელი წარდგენილი იყო.

აქ ისეთი შემთხვევა იგულისხმება, როცა ერთ–ერთმა მეუღლემ შეიტანა სარჩელი სასამართლოში ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ, მაგრამ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე იგი გარდაიცვალა. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგაც და თუ დააკმაყოფილებს, მაშინ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე გარდაცვლილი მეუღლის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას დაკარგავს.<sup>65</sup>

მემკვიდრეობის ჩამორთმევის კიდევ ერთი საფუძველია მამკვიდრებლის ნება. მემკვიდრეობის ჩამორთმევის მიზნით, მამკვიდრებელმა შეიძლება პირდაპირ

<sup>63</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 397-398

<sup>64</sup> იქვე, გვ. 398-399

<sup>65</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 399

მიუთითოს იმ პირებზე, რომლებსაც მემკვიდრეობას ართმევს ან საერთოდ არ მოიხსენიოს ისინი ანდერძში. მაგალითად, თუ ანდერძში ნათქვამია, რომ მოანდერძე მთელ თავის ქონებას უტოვებს მეუღლეს და არაფერია ნათქვამი შვილზე, იგულისხმება, რომ შვილს მემკვიდრეობა ჩამოერთვა, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ არის ანდერძში მითითებული, რომ შვილს ერთმევა მემკვიდრეობა.<sup>66</sup> მამკვიდრებელს კანონით მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა შეუძლია ორი საშუალებით:

1. ანდერძში იმის პირდაპირი მითითებით, რომ გარკვეულ პირს (პირებს) ერთმევა მემკვიდრეობა;

2. ანდერძით ქონების განაწილებისას გარკვეული პირისათვის (კანონით მემკვიდრისათვის) გვერდის ავლით.<sup>67</sup>

სსკ-ის 1354-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელსაც ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვა მემკვიდრეობა, ვერც კანონით მემკვიდრე ვერ იქნება ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ანდერძში არ შესულა, ასევე – მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.<sup>68</sup>

## **5. უღირს მემკვიდრედ ცნობასა და სავალდებულო წილის მიღების უფლებასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები**

მამკვიდრებლის ოჯახის წევრების ინტერესების სასარგებლოდ ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებულია ანდერძის თავისუფლების პრინციპის ერთგვარი შეზღუდვა.<sup>69</sup> სსკ-ის 1371-ე მუხლი ადგენს, რომ მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).<sup>70</sup>

სავალდებულო წილის ინსტიტუტი მემკვიდრეობის სპეციფიკურ სახედ შეიძლება იქნას მიჩნეული. იგი ცალსახად არც კანონისმიერ და არც ანდერძისმიერ მემკვიდრეობას

---

<sup>66</sup> ახვლედიანი ზ., ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 1998 წ., გვ. 81

<sup>67</sup> იქვე, გვ. 81

<sup>68</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ. 11

<sup>69</sup> ახვლედიანი ზ., ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 1998, გვ. 85

<sup>70</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ. 12

არ მიეკუთვნება. მასში ორივე სახის მემკვიდრეობის ელემენტების პოვნა შეიძლება. სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღება კანონით მემკვიდრეობის სახესხვაობა იმიტომ არ არის, რომ იგი მთლიანად არის განპირობებული ანდერძის არსებობით. ანდერძით მემკვიდრეობისგან კი იმით განსხვავდება, რომ გულისხმობს ანდერძის შეზღუდვას და კანონით იმ პირთა განსაზღვრას, რომელთაც გააჩნიათ სავალდებულო წილის მიღების უფლება.<sup>71</sup>

დღესდღეობით საქართველოში სხვადასხვა სახის სასამართლო წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უღირს მემკვიდრედ ცნობასა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევასთან, ასევე სხვა მსგავსი ღონისძიების პროცესუალურ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.<sup>72</sup>

1. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 1381-ე მუხლში კეთდება მითითება სსკ-ის 1310-ე მუხლზე, ორივე სამართლებრივ საკითხზე ვრცელდება განსხვავებული წესები და მექანიზმები.<sup>73</sup>

2. ამ ორი შემადგენლობისათვის საერთოა ის, რომ ძირითადი ნორმა, კერძოდ სსკ-ის 1310-ე მუხლი, არასრულყოფილად და გაუგებრადაა ჩამოყალიბებული, ვინაიდან ის განსაზღვრავს უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობებს, რომელებიც, სსკ-ის 1381-ე მუხლის თანახმად, ვრცელდება ასევე სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შემთხვევებზეც. ქართული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ნათელი ხდება სრული თანხმობის არსებობა იმასთან დაკავშირებით, რომ პირს, რომელმაც განზრახ მოკლა მამკვიდრებელი, უფლება არა აქვს ისარგებლოს აღნიშნული შემთხვევის შედეგად წარმოშობილი ანდერძითა თუ კანონით მემკვიდრეობით. აქ ანალოგიით უნდა დავეყრდნოთ სსკ-ის 98-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, „თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება“. ეს ნორმა, თავის მხრივ, გახლავთ კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპის გამოხატულება, რომელიც ვრცელდება მთელ სამოქალაქო სამართალზე და ჩამოყალიბებულია სსკ-ის 361-ე მუხლში.<sup>74</sup> ამ ნორმით იკრძალება, მაგალითად, საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან უშუალო სამართლებრივი სარგებლის მიღება. აქ საქმე ეხება რომის სამართლის

<sup>71</sup> შენგელია რ., შენგელია ე., ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 92-93

<sup>72</sup> ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, გვ. 1 [http://www.library.court.ge/upload/1ee20c\\_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf](http://www.library.court.ge/upload/1ee20c_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf)

<sup>73</sup> იქვე.

<sup>74</sup> ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, გვ. 1 [http://www.library.court.ge/upload/1ee20c\\_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf](http://www.library.court.ge/upload/1ee20c_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf)

პრინციპს *exceptio doli specialis*, რომელსაც ანგლოამერიკულ სამართალში ეფუძნება *unclean hands*-ის (არასუფთა ხელები) შეცვლა.<sup>75</sup>

განმარტების მეთოდებიდან გამომდინარე, ამ შედეგს ვაღწევთ ასევე ე.წ. „მითუმეტეს დასკვნის“ სახითაც, ანუ *argumentation a fortiori*: თუკი სამართლებრივი შედეგი ვრცელდება კანონით მოწესრიგებულ უფრო მსუბუქ „ა“ შემადგენლობაზე, მაშინ ის, მითუმეტეს, უნდა გავრცელდეს კანონით მოუწესრიგებელ, საქმის უფრო მძიმე „ბ“ შემადგენლობაზე, რომელზეც კანონის კონკრეტული მიზანი უფრო დიდი მასშტაბით ვრცელდება.<sup>76</sup>

წინამდებარე შემთხვევასთან დაკავშირებით: თუ, სსკ-ის 1310-ე მუხლის თანახმად, უკვე მამკვიდრებლის ნების თავისუფლებაზე არაკეთილსინდისიერ ზეგავლენასა და ანდერძში გამოხატული უკანასკნელი ნების დარღვევას მოქმედი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობამდე მივყავართ, იგივე, მითუმეტეს, უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც მემკვიდრე მოკლავს მამკვიდრებელს, ვინაიდან აქ საქმე ეხება ბევრად უფრო მძიმე შემადგენლობას. ამგვარადვე უნდა დაკვალიფიცირდეს ზემოთ აღნიშნული შემადგენლობის მსგავსი სიმძიმის ქმედებები, რომლებიც მიმართულია მამკვიდრებლისა და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ.<sup>77</sup>

სსკ-ის 1381-ე მუხლი ადგენს, რომ სავალდებულო წილის მიღების უფლება შეიძლება ჩამორთმეულ იქნას იმ საფუძვლების არსებობისას, რომლებიც იწვევენ საერთოდ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. მაშასადამე, ამ ნორმით მითითება ხდება სსკ-ის 1310-ე და 1311-ე მუხლებზე, რომლითაც განსაზღვრულია უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობები. სწორედ ამ წინაპირობებით ხელმძღვანელობს სასამართლო სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შემთხვევებზე<sup>78</sup>. მემკვიდრეობის ჩამორთმევა ავტომატურად სავალდებულო წილის მიღების დაკარგვასაც რომ იწვევდეს, მაშინ რატომ არის დაშვებული სსკ-ის 1381-ე მუხლის მიხედვით მამკვიდრებლის უფლება, მიმართოს სასამართლოს პირისთვის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევისთვის? ასევე მამკვიდრებლის მიერ ანდერძით პირისთვის მემკვიდრეობის ჩამორთმევაზე მითითებული მოტივი (მოტივის მითითება არცაა სავალდებულო) შეიძლება არც იყოს ობიექტურად

<sup>75</sup> შეად. Palandt O./Heinrichs H., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 63. Auflage, 2003, § 242 BGB, RdNr. 42-45.

<sup>76</sup> არგუმენტაცია მცირედიდან დიდზე: *argumentum a minore ad maius*. შეად. Rütters B., Rechtstheorie: Begriff, Geltung und Anwendung des Rechts, Berlin, 1999, RdNr. 898 sowie Palandt O./Heinrichs H., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 63. Auflage, 2003, RdNr. 43

<sup>77</sup> ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, გვ. 1 [http://www.library.court.ge/upload/1ee20c\\_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf](http://www.library.court.ge/upload/1ee20c_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf)

<sup>78</sup> ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6, #4, 2003, გვ. 516.

ანგარიშგასაწევი, რომ კანონით მემკვიდრემ სამკვიდროდან მცირე ნაწილი მაინც არ მიიღოს სავალდებულო წილის მეშვეობით. სწორედ მემკვიდრეებისთვის მემკვიდრეობის უფლების უსამართლოდ ჩამორთმევის პრევენციას<sup>79</sup> ემსახურება სავალდებულო წილის ინსტიტუტი.<sup>80</sup>

ქართულ სასამართლოებში ერთგვარი თანხმობის მიუხედავად სადავო რჩება საკითხი, თუ ვინ და რა სახით უნდა დააყენოს დამნაშავეს უღირს მემკვიდრედ ცნობის საკითხი. კონკრეტულად კი, სადავოა საკითხი – უფლებამოსილია თუ არა მამკვიდრებელი, ჯერ კიდევ სიცოცხლეში აღძრას აღნიშნული სარჩელი. დამთავრებული დანაშაულის (მკვლელობის) შემთხვევაში ეს პრობლემაა, ბუნებრივია, აღარ დგება. აქ სსკ-ის 1310-ე (2) მუხლისა და 1312-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელე შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომლისთვისაც უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ, უპირატეს,<sup>81</sup> ქონებრივ შედეგებს იწვევს.<sup>82</sup>

მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი საქმეების განხილვისას ხშირად წარმოიშობა სირთულეები არამართო მატერიალური, არამედ ასევე, საპროცესო სამართლის ნორმების გამოყენებისას.<sup>83</sup> ზოგადად, მატერიალური და საპროცესო სამართლის თანაფარდობის საკითხები ყოველთვის აქტუალურია ფიზიკური და იურიდიული პირების სუბიექტური უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის ფორმების მუდმივი სრულყოფის თვალსაზრისით.<sup>84</sup> ასეთი ურთიერთკავშირის ზღვრის დადგენა ხელს უწყობს სამართალწარმოების სახეების, ცალკეული კატეგორიის საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესუალური თავისებურებების, მატერიალურ კანონმდებლობაში საპროცესო ნორმების გამოვლენას.<sup>85</sup>

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის, მისი ცალკეული ინსტიტუტებისა და ნორმების სრულყოფა შესაძლებელია მხოლოდ მთელი საპროცესო ნორმატიული მასალის, ასევე, მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით.

<sup>79</sup> იგულისხმება სამკვიდრო ქონების ნაწილზე უფლების შენარჩუნება.

<sup>80</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევისთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ. 13

<sup>81</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 370

<sup>82</sup> ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, გვ. 2

[http://www.library.court.ge/upload/1ee20c\\_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf](http://www.library.court.ge/upload/1ee20c_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf)

<sup>83</sup> კობრიძე ლ., სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები, მართლმსაჯულება და კანონი #3(42)/14, გვ. 26

[http://www.library.court.ge/upload/1413190262\\_-372833252%20\(1\).pdf](http://www.library.court.ge/upload/1413190262_-372833252%20(1).pdf)

<sup>84</sup> Гукасян Р.Е., Влияние материально-правовых отношений на форму процесса в исковом производстве, Вопросы теории и практики гражданского процесса, Выпуск 1, Межвузовский научный сборник, Саратов, 1976, Стр. 25

<sup>85</sup> Гукасян Р.Е., Горизонты и ориентиры процессуальной науки, Материалы научно-методической конференции „Юристы в XXI веке“, Тверь, 2001, Стр. 35.

მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, განისაზღვრება სარჩელის საგანი და საფუძველი, პროცესის სუბიექტური შემადგენლობა, მტკიცების საგანი და აუცილებელი მტკიცებულებები, საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები და დავის მორიგებით დასრულება.<sup>86</sup>

სასარჩელო განცხადების მიღებისას სასამართლომ უნდა გაარკვიოს, რომელი მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოიშვა დავა, ვინაიდან სწორედ ამის მიხედვით განისაზღვრება საქმეში მონაწილე პირთა წრე. სასარჩელო წარმოების წესით განსაზღვრულ საქმეში მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მოპასუხე.<sup>87</sup> საქმეში მონაწილე პირებს შეიძლება წარმოადგენდნენ ასევე, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მოთხოვნის გარეშე. სამემკვიდრეო დავაში მონაწილე პირთა ჩამონათვალი დამოკიდებულია მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტთა წრეზე. სახელდობრ, ასეთ სუბიექტებად ხშირად გვევლინებიან: 1) კანონით მემკვიდრეები; 2) ანდერძით მემკვიდრეები; 3) მემკვიდრეები წარმომადგენლობის უფლებით; 4) მემკვიდრეები მემკვიდრეობითი ტრანსმისიით; 5) სავალდებულო წილის უფლების მქონე მემკვიდრეები; 6) არაშრომისუნარიანი პირები, რომლებიც მამკვიდრებლის რჩენაზე იმყოფებოდნენ; 7) ანდერძის აღმსრულებელი; 8) საანდერძო დანაკისრის მიმღები მემკვიდრე (ლეგატარი); 9) პირი, რომლის სასარგებლოდაც არის განხორციელებული საანდერძო დანაკისრი (ლეგატი); 10) მამკვიდრებლის კრედიტორები; 11) სახელმწიფო.<sup>88</sup>

## 5.1 სამემკვიდრეო დავებში მონაწილე სუბიექტები

მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ დავაში მხარედ შეიძლება თვით პოტენციური მამკვიდრებელი მონაწილეობდეს, სახელდობრ, მოსარჩელედ სარჩელში სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შესახებ. ცხადია, ასეთ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მოქმედებს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს არა სამკვიდროს გახსნა, არამედ პოტენციური მემკვიდრის ის მოქმედებები, რომლებიც იწვევენ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას.

სამემკვიდრეო დავაზე მიღებულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ არ შეიძლება გავლენა მოახდინოს სამკვიდრო მოწმობის გამცემი ანდა ანდერძის დამმოწმებელი

<sup>86</sup> კობრეიძე ლ., სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები, მართლმსაჯულება და კანონი #3(42)/14, გვ. 27 [http://www.library.court.ge/upload/1413190262\\_-372833252%20\(1\).pdf](http://www.library.court.ge/upload/1413190262_-372833252%20(1).pdf)

<sup>87</sup> ლილუაშვილი თ./ ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 142-143

<sup>88</sup> კობრეიძე ლ., სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები, მართლმსაჯულება და კანონი #3(42)/14, გვ. 27 [http://www.library.court.ge/upload/1413190262\\_-372833252%20\(1\).pdf](http://www.library.court.ge/upload/1413190262_-372833252%20(1).pdf)

ნოტარიუსის უფლებებსა და მოვალეობებზე, იქედან გამომდინარე, რომ იგი არ წარმოადგენს სადავო მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტს.<sup>89</sup>

სადავო მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარესთან ნოტარიუსი სხვა ხასიათის სამართალურთიერთობაში შედის. „იმისათვის, რომ კონკრეტულ პირს შეეძლოს საქმეში მონაწილეობა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის სტატუსით, იგი უნდა იყოს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობაში ერთ-ერთ მხარესთან, რომლის სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს მისი სუბიექტების თანასწორობა.“<sup>90</sup> თუმცა, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში, პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება.<sup>91</sup>

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობა სამემკვიდრეო დავაში განპირობებულია არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის აუცილებლობით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქმეში ჩაბმას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup>-ე მუხლი სასამართლოს ავალდებულებს მაშინ, როდესაც სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად მიმართავს არასრულწლოვანი 14 წლის ასაკიდან. აღნიშნული დანაწესი ვრცელდება ყველა კატეგორიის საქმეზე, მათ შორის, სამემკვიდრეო დავებზეც.<sup>92</sup>

სამემკვიდრეო დავაში მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოც, იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო ქონება არც ერთ მემკვიდრეს არ მიუღია. მაგალითად, ასეთი კატეგორიის საქმეს წარმოადგენს სარჩელი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო ქონება არც ერთ მემკვიდრეს არ მიუღია, ვინაიდან თუ სამკვიდრო ერთ-ერთმა მემკვიდრემ მაინც მიიღო, აღნიშნული გამორიცხავს ასეთი კატეგორიის საქმეში სახელმწიფოს მონაწილეობას მოპასუხის სტატუსით), ასევე, სარჩელი უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლის შესახებ.<sup>93</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამემკვიდრეო დავის კატეგორიის მიხედვით, სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების ფარგლებში, სასამართლომ უნდა განსაზღვროს სამკვიდროს მისაღებად მოწვეულ მემკვიდრეთა რიგის წრე სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება შემდგომში შეიძლება გაუქმდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ, საქართველოს სამოქალაქო

<sup>89</sup> კობრიძე ლ., სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები, მართლმსაჯულება და კანონი #3(42)/14, გვ. 30 [http://www.library.court.ge/upload/1413190262\\_-372833252%20\(1\).pdf](http://www.library.court.ge/upload/1413190262_-372833252%20(1).pdf)

<sup>90</sup> Стройкина Ю.В., Некоторые вопросы теории гражданского правоотношения, Оренбург, 2005, Стр. 28.

<sup>91</sup> საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ.“ თბილისი, 2009, პირველი მუხლის პირველი პუნქტი

<sup>92</sup> კობრიძე ლ., სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები, მართლმსაჯულება და კანონი #3(42)/14, გვ. 30 [http://www.library.court.ge/upload/1413190262\\_-372833252%20\(1\).pdf](http://www.library.court.ge/upload/1413190262_-372833252%20(1).pdf)

<sup>93</sup> იქვე გვ. 30

საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს მისი ბათილად ცნობის საკითხი, ამავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმას ითვალისწინებს ან თავად ამ პირის ანდა ერთერთი მხარის ინიციატივით, რაც მხარეების ან თავად მესამე პირის პასიურობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ზღუდავს სასამართლოს, თავიდანვე მიიღოს ზომები, რათა საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არ წარმოიშვას მისი გაუქმების ან ბათილად ცნობის საფუძველი. ასეთი დანაწესი ასევე, ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს – შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელსაც „საფუძვლად უდევს თითოეული მხარის შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში, სადავოდ გახადოს მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტები.“<sup>94</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნას ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, რასაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში საპროცესო თანამონაწილეობა ეწოდება.<sup>95</sup>

## 5.2 მამკვიდრებლის საპროცესო უფლებაუნარიანობა

სამართალწარმოების თვალსაზრისით სირთულეს ქმნის შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელი მკვლელობის მცდელობის მიუხედავად ცოცხალი დარჩება, ან თუკი საქმე ეხებოდა სხვა მძიმე შემადგენლობას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა არა მამკვიდრებლის, არამედ მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ან სხვა სიკეთეს, რაც ზემოთ მოყვანილი პრინციპების გათვალისწინებით შეიძლება შეფასდეს როგორც მძიმე ქმედება.<sup>96</sup>

ქართველი მოსამართლეები ნაწილობრივ ემხრობიან მოსაზრებას, რომ მსგავს შემთხვევებში თვით მამკვიდრებელს (სსკ-ის 1310-ე (2) მუხლის თანახმად) უნდა ჰქონდეს უფლება, აღძრას აღიარებითი სარჩელი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად). ისინი ნაწილობრივ მიუთითებენ სსკ-ის 1381-ე მუხლზე, რომლის მე-2 და მე-3 ნაწილებიდან ცალსახად გამომდინარეობს მამკვიდრებლის უფლება, აღძრას სარჩელი სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის თაობაზე. ეს ნორმები გამოყენებულ უნდა იქნენ ანალოგიით, რამეთუ დაუშვებელია, რომ

<sup>94</sup> Захватаев В., Новый Гражданский процессуальный кодекс Франции, Киев, 2004, стр. 6.

<sup>95</sup> კობრიძე ლ., სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები, მართლმსაჯულება და კანონი #3(42)/14, გვ. 34-36 [http://www.library.court.ge/upload/1413190262\\_-372833252%20\(1\).pdf](http://www.library.court.ge/upload/1413190262_-372833252%20(1).pdf)

<sup>96</sup> ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, გვ. 2 [http://www.library.court.ge/upload/1ee20c\\_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf](http://www.library.court.ge/upload/1ee20c_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf)

მამკვიდრებელს შეეძლოს უღირსი მემკვიდრისათვის სასამართლო წესით სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა (სსკ-ის 1381-ე, 1371-ე მუხლები), მაგრამ არა მემკვიდრეობის უფლებისა. არსებობს ასევე მოსაზრებაც, რომ სავალდებულო წილის მიღების უფლების სასამართლო წესით ჩამორთმევას ავტომატურად თან სდევს მემკვიდრეობის უფლების დაკარგვაც (სსკ-ის 1381-ე მუხლით).<sup>97</sup>

მამკვიდრებელს კანონის ნორმების შესაბამისად არა აქვს შესაძლებლობა, თავის სიცოცხლეშივე დააყენოს საკითხი პირის სასამართლოს გზით უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე.<sup>98</sup> აღნიშნულის საპირისპირო მოსაზრება ეწინააღმდეგება კანონის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, კანონის სისტემას, კანონის არსს და მიზანს. მსგავსი სარჩელის აღძვრისათვის აუცილებლობაც არ არსებობს.

თვით კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ეწინააღმდეგება მამკვიდრებლის მსგავს სარჩელს. სსკ-ის 1312-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აღძვრან შესაბამისი სარჩელი. აღნიშნული წრე შემოიფარგლება მხოლოდ იმ პირებით, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უღირსი მემკვიდრისათვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს. მათ რიცხვს არ განეკუთვნება მამკვიდრებელი, რომლის სიცოცხლეშიც პირის უღირს მემკვიდრედ ცნობას, როგორც წესი, არ ექნებოდა ქონებრივი შედეგი. მამკვიდრებელი შეუზღუდავია მის დისპოზიციურ თავისუფლებაში და ამდენად, იგი მსგავს სასამართლო გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული ან მისით შეზღუდული. აღნიშნულს ადასტურებს სსკ-ის 1313-ე მუხლით გათვალისწინებული უღირსი მემკვიდრისათვის პატიების შესაძლებლობაც, რომელიც ძალაში რჩება სასამართლოს მიერ უღირს მემკვიდრედ ცნობის შემთხვევაშიც კი. ყოველივე ამას შეესაბამება ის გარემოებაც, რომ სსკ-ის 1317-ე მუხლი სარჩელის აღძვრისათვის სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ხუთწლიან ვადას ითვალისწინებს, რაც თავისთავად გულისხმობს მამკვიდრებლის გარდაცვალებას, როგორც სარჩელის აღძვრის აუცილებელ წინაპირობას.<sup>99</sup>

შესაბამისად, კანონმდებელმა აშკარად გამიზნულად შექმნა სსკ-ის 1381-ე მუხლისაგან განსხვავებული ნორმა, რომლის მე-2 და მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია მამკვიდრებლის მიერ სარჩელის აღძვრის უფლება. კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება გამორიცხავს ნორმის ანალოგიით გამოყენებას კანონით მოუწესრიგებელ შემთხვევაზე, რადგან სახეზე არ გვაქვს ანალოგიის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა, კერძოდ გამორჩენილი ხარვეზი. ის ფაქტი, რომ კონკრეტული „ა“ გარემოება და კანონით მოწესრიგებული „ბ“ შემთხვევა ერთმანეთის მსგავსად

<sup>97</sup> იქვე. გვ. 2

<sup>98</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, გვ. 435

<sup>99</sup> ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, გვ. 3  
[http://www.library.court.ge/upload/1ee20c\\_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf](http://www.library.court.ge/upload/1ee20c_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf)

შეგნებულად არ მოწესრიგდა, თავისთავად გამორიცხავს ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. სრულიად საპირისპიროდ, კანონმდებელი აქ უშვებს მხოლოდ ე.წ. უკუდასკვნის გაკეთების შესაძლებლობას – *argumentatio e contratio an argumentum e silentio*. თავისი დუმილით კანონმდებელი ცალსახად აცხადებს, რომ კანონით მოუწესრიგებელი შემთხვევა არ უნდა გადაწყდეს კანონით ცალსახად მოწესრიგებული შემთხვევის მსგავსად.<sup>100</sup>

აღნიშნულ შემთხვევაში ეხება თუ არა საქმე კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტილებას ან გამორჩენილ ხარვეზს, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დასაშვებია თუ არა კანონის ანალოგიის გამოყენება, იქმნება თუ არა უკუდასკვნის გაკეთების აუცილებლობა, შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ ნორმის აზრისა და მიზნის გამოკვლევის შედეგად. საქმე ეხება ე.წ. ტელეოლოგიურ განმარტებას.<sup>101</sup> ნორმის მიზანზე ორიენტირებულ ამ განმარტებას შემდეგ შედეგამდე მივყავართ: მაშინ, როცა მამკვიდრებელს სავალდებულო წილის მიღების უფლებასთან დაკავშირებით კანონისმიერი სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით შეუძლია, მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებით სასამართლო ჩარევას არ საჭიროებს. მას შეუძლია, კანონით მემკვიდრეს მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვას ანდერძის საშუალებით, ხოლო ანდერძით მემკვიდრეს – ანდერძში შესაბამისი ცვლილების საფუძველზე. ამიტომ ზედმეტია ამ შემთხვევაში (აღიარებითი) სარჩელის აღძვრა. ამისათვის არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ინტერესი არ არსებობს. მსგავს სარჩელზე უარი უნდა ითქვას, ვინაიდან ის არ აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობებს.<sup>102</sup>

მამკვიდრებლის მიერ სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის (სსკ-ის 1381-ე II-III მუხლით) შედეგს ავტომატურად არ წარმოადგენს სსკ-ის 1310-ე მუხლით მემკვიდრეობის უფლების დაკარგვა. ჩვენ ზემოთ შევხებით ანდერძით მემკვიდრეობის და სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების დამთხვევის შემთხვევებს. მიუხედავად კანონის განსხვავებული სისტემისა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებისა და მემკვიდრეობის უფლების მიმართ, სავალდებულო წილის ჩამორთმევა მაინც უცვლელად ტოვებს მემკვიდრეობის შესაძლო უფლებას. მამკვიდრებელს შეუძლია პირს ჩამოართვას მემკვიდრეობის უფლება მხოლოდ ანდერძის შეცვლის გზით.<sup>103</sup>

თუ ის ხელიდან გაუშვებს ამ შესაძლებლობას, მაშინ მხოლოდ სსკ-ის 1312-ე მუხლში განსაზღვრულ პირთა წრე რჩება უფლებამოსილი, გაატაროს სსკ-ის 1310-ე

<sup>100</sup> Rütters B., *Rechtstheorie: Begriff, Geltung und Anwendung des Rechts*, Berlin, 1999, RdNr. 899.

<sup>101</sup> Rütters B., *Rechtstheorie: Begriff, Geltung und Anwendung des Rechts*, Berlin, 1999, RdNr. 900-901

<sup>102</sup> ბილინიგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, გვ. 3  
[http://www.library.court.ge/upload/1ee20c\\_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf](http://www.library.court.ge/upload/1ee20c_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf)

<sup>103</sup> იქვე. გვ. 5

მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები და პირი სასამართლო წესით ცნონ უღირს მემკვიდრედ. ამასთან, გასათვალისწინებელია 1313-ე მუხლის სამართლებრივი შეფასება: ამ დებულებით გამორიცხულია უღირს მემკვიდრედ ცნობა, თუკი მამკვიდრებელი აპატიებს მემკვიდრეს და მის ამ გადაწყვეტილებას მკაფიოდ გამოხატავს ანდერძში. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევებიც, როცა მამკვიდრებელი, რომელმაც იცის მემკვიდრის საქციელის შესახებ, უცვლელად დატოვებს თავის მიერ უკვე შედგენილ ანდერძს მემკვიდრის სასარგებლოდ და მას მხოლოდ სავალდებულო წილს ჩამოართმევს. მსგავსი შემთხვევები შესაძლებელია, მაგალითად, როდესაც ანდერძით გათვალისწინებული სამკვიდრო შედარებით მცირეა, ხოლო სავალდებულო წილი – შედარებით დიდი. აქ შეიძლება გვეტონდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელი, მემკვიდრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უარს ამბობს მემკვიდრისთვის სავალდებულო წილის ჩამორთმევასთან ერთად მისთვის გათვალისწინებული შედარებით მცირე სამკვიდროს ჩამორთმევაზე. ეს გადაწყვეტილება, სსკ-ის 1313-ე მუხლის შესაბამისად, სავალდებულოა სსკ-ის 1312-ე მუხლში ჩამოთვლილ პირთათვის.<sup>104</sup>

და ბოლოს, მეორე მხრივ, სსკ-ის 1381-ე მუხლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით, თუ მამკვიდრებელი სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან ხელყოფის მსხვერპლი გახდება, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე ნაშრომის მე-2 პუნქტში. აქ სსკ-ის 1312-ე მუხლით უფლებამოსილ პირებს ეძლევათ არა მხოლოდ შესაძლებლობა, 1310-ე მუხლით ანალოგიით უღირს მემკვიდრედ ცნონ პირი, არამედ სსკ-ის 1381-ე მუხლის ანალოგიით უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, განახორციელონ სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა სასამართლო წესით.<sup>105</sup> სსკ-ის 1317-ე მუხლში მოცემული ვადა შესაბამისად უნდა იქნეს გათვალისწინებული.<sup>106</sup>

ამრიგად, მემკვიდრეობის ჩამორთმევა ავტომატურად არ იწვევს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების დაკარგვასაც, ამისათვის საჭიროა ცალკე სასამართლო წარმოება.<sup>107</sup>

უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა ემყარება განსხვავებულ წესებს და, კანონის სისტემიდან გამომდინარე, მკაცრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. ცალკეული მუხლების მეორე სახის ურთიერთობის მიმართ გამოყენება შესაძლებელია ანალოგიით, მაგრამ თითოეულ

<sup>104</sup> იქვე, გვ. 5

<sup>105</sup> შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 436

<sup>106</sup> ბილინიგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, გვ. 5 [http://www.library.court.ge/upload/1ee20c\\_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf](http://www.library.court.ge/upload/1ee20c_9f2e0b52bed84ac284cd7114011b4862.pdf)

<sup>107</sup> აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, გვ. 13

შემთხვევაში უნდა ხდებოდეს ნორმის მიზნის მკაცრად მეთოდური შემოწმება, მისი გამოყენების აუცილებელი პირობებისა და სამართლებრივი შედეგების კუთხით, მათ შეფარდებას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.<sup>108</sup>

მატერიალური უფლებების განხორციელების სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს მათი სასამართლო წესით დაცვა. იმ დავების განხილვისას, რომელთა ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს სამკვიდროს გახსნა, სასამართლოები იმავდროულად იცავენ მოქალაქეების მემკვიდრეობით და მათთან დაკავშირებულ უფლებებს. თავის მხრივ, სამემკვიდრეო დავების განხილვის საპროცესო თავისებურებები უნდა შესწავლილ იქნას იმ მიმართულებების გათვალისწინებით, რომლებიც განისაზღვრება მატერიალური სამართალური თეორიებით.<sup>109</sup>

## 6. უღირსედ მემკვიდრედ ცნობის საკითხი უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში

### 6.1 ისტორიული მიმოხილვა

თანამედროვე მემკვიდრეობის სამართლის ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს განვითარებულ სამართლებრივ სისტემებში, კერძოდ, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, აშშ-ში, დასჭირდა საუკუნეზე მეტი. ამ ხნის განმავლობაში მათი შინაარსი იხვეწებოდა კანონის მეშვეობით, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით იწმინდებოდა და ექვემდებარებოდა დოქტრინის საფუძვლიან ანალიზს. საზოგადოების ცხოვრების საჭიროებებს მუდმივად მიჰყავდა მემკვიდრეობის მარეგულირებელი მრავალჯერადი სამართლებრივი მექანიზმების უარყოფის ან ახალი რეგულირების მექანიზმების დაბადებისაკენ, მათი ბუნებრივი ევოლუციის პროცესის მიმდინარეობა ერთი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორისკენ<sup>110</sup>. მემკვიდრეობითი სამართალი, არის რა უშუალოდ დაფუძნებული საზოგადოების ოჯახური ორგანიზაციის მრავალსაუკუნოვან ეროვნულ და მორალურ ტრადიციებზე, წარადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და კონსერვატიულ დარგებს, და იმის გამო, რომ ევროპის კონტინენტური ქვეყნების მემკვიდრეობითი სამართალი რომაული კერძო სამართლის გავლენის ქვეშ განვითარდა, ევროპული სახელმწიფოების მემკვიდრეობის სამართლის ძირითად ინსტიტუტებს გააჩნიათ ბევრი მსგავსებები.<sup>111112</sup>

<sup>108</sup> ბილინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, გვ. 5

<sup>109</sup> კობრეიძე ლ., სამემკვიდრეო დავებში მონაწილე პირები, მართლმსაჯულება და კანონი #3(42)/14, გვ. 40 [http://www.library.court.ge/upload/1413190262\\_-372833252%20\(1\).pdf](http://www.library.court.ge/upload/1413190262_-372833252%20(1).pdf)

<sup>110</sup> Блинков О.Е. О сравнительном наследственном правоведении, Юридическая наука и образование, N 4, Москва, 2006, С. 11.

<sup>111</sup> Цвайгерт К./ Кетц Х. Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, том 1, Москва, 2000. Т. 1. С. 272 - 307, 446 - 459.

<sup>112</sup> Давид Р./ Жоффре-Спинози К. Основные правовые системы современности, Москва, 1999. С. 18 - 28

მემკვიდრეობითი სამართლის განვითარება ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობდა კანონით მემკვიდრეების მდგომარეობის გათანაბრების, მათი რიგითობის შენარჩუნების და მათი მემკვიდრეებად აღიარების მიმართულებით. უღირს მემკვიდრეთა ინსტიტუტი წარმოადგენს თითქმის ყველა სახელმწიფოს მემკვიდრეობითი სამართლის აუცილებელს ატრიბუტს, განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ გარდაცვლილი ნათესავების სამკვიდრო ქონებისგან ასეთი პირების განრიდებაში.<sup>113</sup>

აღმოსავლეთ ევროპის მემკვიდრეობითი სამართალი, აქტები, რომლებიც მიღებული იქნა მათი „სოციალისტური განვითარების“ პერიოდში, იმ დებულებების გამოკლებით, რომლებიც განპირობებული იყო ეროვნული ტრადიციებით. ბულგარეთის კანონის მემკვიდრეობის შესახებ, მიღებულის 1949 წლის 29 იანვარს, შესაბამისად, კანონით მემკვიდრეები განაწილებულნი არიან ოთხ რიგად. პირველ რიგში მემკვიდრეობას იღებენ შვილები, მათ შორის ნაშვილები, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში მათი დაღმავალი შთამომავლები წარმომადგენლობის უფლებით. გარდაცვლილის ქონების მემკვიდრების მესამე რიგი მოწოდებული არიან ძმები და დები ან მათი კანონიერი დაღმავალი ნათესავები. მეოთხე რიგში, როდესაც მემკვიდრეობას იღებენ გვერდითი ხაზის ნათესავები, წარმომადგენლობითი უფლება უკვე აღარ მოქმედებს, მაგალითად დის ან ძმის შვილიშვილები – ბიძაშვილების, მამიდაშვილების ან დეიდაშვილების შვილები ვერ მიიღებენ სამკვიდროს თუ ცოცხლები არიან მათი ბიძები, მამიდები და დეიდები – მემკვიდრის დეიდაშვილები ან ბიძაშვილები. სამკვიდრეობის კანონის თანახმად მემკვიდრეობის მიღება არ შეუძლიათ მათ, ვინც:

1. განზრახ მოკლა ან განახორციელა მკვლელობის მცდელობა მემკვიდრეობის, მისი მეუღლის ან მისი შვილის მიმართ, ან იყო დანაშაულის თანამონაწილე (გარდა შემთხვევებისა, როდესაც ქმედება ჩადენილია ვითარებებში, რომელიც გამორიცხავს მის მტკიცებულებას, ან მასზე გავრცელდა ამნისტია);

2. უსაფუძვლოდ დაადანაშაულა მემკვიდრეობელი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ისჯება პატიმრობით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მემკვიდრეობელი დაადანაშაულეს დანაშაულში, რომლის დევნისათვის საჭირო არის დაზარალებულის განცხადება, ხოლო ასეთი შეტანილი არ იქნა);

3. ძალადობით აიძულა მემკვიდრეობელი შეეცვალა ან გაეუქმებინა ანდერძი;

<sup>113</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskom-nasledstvennom> (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

4. გაანადგურა, დამალა ან შეცვალა ანდერძი.<sup>114</sup>

### 6.1.1 უღირს მემკვიდრედ ცნობისათვის დამახასიათებელი თავისებურებები სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.

ყოფილი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების კანონმდებლობა ერთიანობაში იმეორებს მოცემულ მემკვიდრეობით სისტემას, შემდეგი გარკვეული თავისებურებების გამოკლებით.

უნგრეთის 1959 წლის კანონის „უნგრეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის შესახებ“ IV თავის §608 ნორმის შესაბამისად (1977 წლის რედაქციაში) მეორე რიგში მემკვიდრეობას იღებენ მამკვიდრებლის მშობლები, ხოლო თუ მშობლები არ ჰყავს – მამკვიდრებლის პაპა და ბებია, რომელთა გარდაცვალების შემთხვევაშიც კანონით მემკვიდრეობას შეუდგებიან მათი დაღმავალი მემკვიდრეები<sup>115</sup>, ანუ მამკვიდრებლის დეიდები, მამიდები და ბიძები, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში მათი დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ბიძაშვილები და ა.შ. სამოქალაქო კოდექსის §602 თანახმად, უღირს მემკვიდრეებად აღიარებულნი არიან პირები, რომლებიც თავს დაესხნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეს, ან ჩაიდინეს უკანონო საქციელი, მიმართული კანონით მემკვიდრე პირების მიმართ.<sup>116</sup>

პოლონეთის სამოქალაქო კოდექსის, მიღებულის 1964 წელს, ნორმების თანახმად, მემკვიდრეებად არ შეიძლება ცნობილი იქნან პირები, კანონით მემკვიდრეთა წრიდან, რომლებიც სასამართლოს მიერ აღიარებულნი არიან უღირს მემკვიდრეებად. პოლონეთის სამოქალაქო კოდექსის 928-ე მუხლის თანახმად უღირსად აღიარებულია მემკვიდრე, რომელმაც:

1. მამკვიდრებლის წინააღმდეგ ჩაიდინა განზრახ მძიმე დანაშაული;
2. მოტყუებით ან მუქარით აიძულეს მამკვიდრებელს შეადგინოს, გააუქმოს ან შეცვალოს ანდერძი;

<sup>114</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskoy-nasledstvennom> (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

<sup>115</sup> ასეთი მემკვიდრეობის განაწილების დროს დიდი ბებია და დიდი პაპა ფაქტიურად კარგავენ სამკვიდროს მიღების საშუალებას.

<sup>116</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskoy-nasledstvennom> (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

3. დამალა, გაანადგურა ან გააყალბა ანდერძი (აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ანდერძის გაყალბება განხორციელებული იქნა მესამე პირის მიერ).<sup>117</sup>

უღირსი მემკვიდრე გამოირიცხება მემკვიდრეობიდან ისე, თითქოს მან ვერ იცოცხლა მის გახსნამდე.<sup>118</sup>

მემკვიდრეობითი სამართალი ჩეხეთში (1963 წლის სამოქალაქო სამართალი, 1992 წლის რედაქციით) უღირს მემკვიდრეებად თვლის პირებს, რომლებმაც განზრახ ჩაიდინეს სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაული მამკვიდრებლის, მისი მეუღლის, შვილების ან მშობლების მიმართ, ან ჩაიდინეს გასაკიცხი ქმედებები მამკვიდრების უკანასკნელი ნების მიმართ. მოცემულ პირს შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელი აპატიებს მას ამ ქმედებას.<sup>119</sup>

სერბიის, ჩერნოგორიე, ხორვატიის, სლოვენის და ყოფილი იუგოსლავიის სხვა ქვეყნების მემკვიდრეობითი სამართალი კი პირიქით არსებითან განსაზღვრავს პირთა წრეს, რომელთაც არ შეუძლიათ მემკვიდრეობის მიღება. ასე მაგალითად, ცოცხლად დარჩენილ მეუღლე შეიძლება ამორიცხული იქნას კანონით მემკვიდრეთა რიცხვიდან შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ მამკვიდრებელმა შეიტანა განცხადება განქორწინების მოთხოვნით, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა ერთობლივი თანაცხოვრების მოშლის სერიოზული მიზეზები;

2. თუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებს ქორწინების ბათილობის თაობაზე იმ მიზეზების და ვითარებების მიხედვით, რომელიც ცნობილი იყო ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის ქორწინების რეგისტრაციის დროს;

3. თუ ერთობლივი თანაცხოვრება შეწყვეტილი იყო მამკვიდრებელთან დიდი ხნის განმავლობაში, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ბრალეული ქმედების საფუძველზე ან მამკვიდრებელთა ურთიერთ თანხმობის საფუძველზე.<sup>120121122</sup>

მემკვიდრეობითი კანონმდებლობა კონტინენტური ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ ადრე მიღებული ტერმინოლოგიის თანახმად მეტწილად

<sup>117</sup> პოლონეთის სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 928.

<sup>118</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskom-nasledstvennom> (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> სერბიის მემკვიდრეობის კანონი, მუხლი 22.

<sup>121</sup> ხორვატიის მემკვიდრეობის კანონი, მუხლი 27.

<sup>122</sup> Залесский В., Основные институты гражданского права зарубежных стран. Сравнительно-правовое исследование, Москва, 1999, С. 499.

აგრძელებს ტრადიციას, შემოტანილს რომის კერძო სამართლის რეცეპციით. ამ სახელმწიფოების მემკვიდრეობითი სამართალი აერთიანებენ ერთობლივი ტერმინით „რომაული მემკვიდრეობითი სქემა“, რომლის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ყველა მემკვიდრეების დაყოფა ოთხ მემკვიდრეობის მიძღვრულ რიგად:

1. დაღმავალი (შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ა.შ.);
2. მშობლები, ძმები და დები;
3. ნახევარ ძმები და დები (საერთო დედის და საერთო მამის);
4. დანარჩენი გვერდითი ნათესავები.<sup>123</sup>

ყოველი თანრიგის შიგნით ნათესავი, რომელსაც გააჩნია უფრო ახლო დონე განარიდებს მემკვიდრეობისგან უფრო შორი დონის ნათესავს. რომაულ სისტემას მიაკუთვნებენ, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთის მემკვიდრეობით სამართალს, რომელმაც მოახდინა უშუალო ზემოქმედება იტალიის, ბელგიის და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს, მათ შორის არაერვროპული ქვეყნების (განსაკუთრებით ყოფილ ლათინოამერიკურ და აფრიკულ კოლონიებზე) კანონშემოქმედებით პროცესებზე.<sup>124</sup>

რომის სამართლის რეცეპციის მიუხედავად ეროვნულ სამართალში, რომელიც არეგულირებს კერძო ქონებრივ ურთიერთობებს, ზოგიერთმა ევროპულმა სახელმწიფომ შეინარჩუნა ტრადიციები, რომლებიც მოქმედებდნენ რეცეპციამდე მემკვიდრეობის სფეროში, რომლის თავისებურება იყო მემკვიდრეების ჯგუფების მოწოდება შეეძინათ გარდაცვლილი ქონება, რომელიც მოიცავდა მამკვიდრებლის გარკვეული დონის აღმავალ ნათესავებს დაღმავლებთან ერთად. ეს სისტემა შენარჩუნებული იქნა გერმანიის მემკვიდრეობის სამართალში, შემდგომში რეციპირებული იქნა ავსტრიაში, შვეიცარიაში და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში (მაგალითად იაპონიაში).

საფრანგეთში მემკვიდრეობის საფუძვლად კანონის მიხედვით დადგენილია მამკვიდრებლის სისხლით ნათესავების ჯგუფებად გაყოფა, რომელთაც თანრიგს (orders) უწოდებენ, ამასთან ნათესაობის სიახლოვე განისაზღვრება დაბადების რიცხვობრიობით, რომელთაგან ყოველ მათგანს ეწოდება დონე (degree). დონეების თანმიმდევრობა ქმნის ხაზს (ligne), ხაზებს უწოდებენ პირდაპირს (დაღმავალს და აღმავალს), რომლებშიც გაერთიანებულნი არიან პირები, რომლებიც წარმოიშვნენ ერთი მეორისგან, და

<sup>123</sup> Мозолина В.П./ Кулагина М.И., Гражданское и торговое право капиталистических стран. Учеб. Пособие, Москва, 1980, С. 370.

<sup>124</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskoy-nasledstvennom>, (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

გვერდითი, რომლებშიც შედიან პირები, რომლებიც არ წარმოიშობიან ერთი მეორისგან.<sup>125</sup>

პირველ თანრიგს განეკუთვნებიან მამკვიდრებლის შვილები და მათი დაღმავალი ნათესავები, მეორეს – მამკვიდრებლის მშობლები, მისი ძმები და დები და ამ უკანასკნელთა დაღმავალი ნათესავები, მესამეს – მამკვიდრებლის აღმავალი ნათესავები, გარდა მისი მშობლებისა, მეოთხეს – მამკვიდრებლის გვერდითი ნათესავები ნათესაობის მეექვსე დონის ჩათვლით, გარდა მისი ძმებისა და დებისა და მათი დაღმავალი ნათესაობისა.<sup>126</sup> წინა დონის ნათესავების არსებობა განარიდებს მემკვიდრეობისგან შემდეგი თანრიგის მემკვიდრეებს.<sup>127</sup>

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 727-ე მუხლის თანახმად უღირსი მემკვიდრეები არიან და მემკვიდრეობის მიღებისგან განრიდებულნი არიან:

1. ის, ვინც გასამართლებული იქნება გარდაცვლილის (მამკვიდრებლის) მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობისათვის;
2. ის, ვინც წარადგინა სისხლის სამართლებრივი ბრალდება გარდაცვლილის მიმართ, რომელიც შემდგომ ცრუ ბრალდებად იქნა აღიარებული;
3. სრულწლოვანი მემკვიდრე, რომელმაც მიიღო ცნობები მამკვიდრებლის გარდაცვალების თაობაზე და არ აცნობა ამის შესახებ სასამართლოს.

უკანასკნელი (ცნობების არ მიწოდება) არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მკვლელის აღმავალი და დაღმავალი ნათესავების წინააღმდეგ, იმავე დონის მის ახლობლებთან, მისი მეუღლის, მისი ძმების და დების, მისი ბიძების, დეიდების და მამიდების, ბიძაშვილების, დეიდაშვილები და მამიდაშვილებისმიმართ.<sup>128</sup>

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უღირსი მემკვიდრის შვილები, რომლებიც შეუდგნენ სამკვიდრო ქონების ფლობას საკუთარი უფლებით, არა წარმომადგენლობის უფლებით, არ ჩამოშორდებიან მემკვიდრეობას საკუთარი მამის ბრალის გამო, მაგრამ ამ უკანასკნელს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მოითხოვოს სამკვიდრო ქონების მიმართ უზუფრუქტი, რომელიც წარმოდგენილია კანონით მშობლებისათვის საკუთარი შვილების ქონებაზე.<sup>129130</sup>

<sup>125</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskoy-nasledstvennom>, (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

<sup>126</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლები 734 და 745.

<sup>127</sup> Лаврова Д.Г., Французский гражданский кодекс, Санкт-Петербург, 2004, С. 509 и сл.

<sup>128</sup> Залесский В., Основные институты гражданского права зарубежных стран. Сравнительно-правовое исследование, Москва, 1999, С. 425 - 426.

<sup>129</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 730.

<sup>130</sup> უფრო დაწვრილებით იხ.: Барщевский М.Ю. Наследственное право. Москва, 1996.

ესპანეთის მემკვიდრეობითი სამართალი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ტრადიციების შენარჩუნების ცნობილი ისტორიული მოვლენების ძალით, 1889 წლის ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი III წიგნის III ტიტული და კანონი მემკვიდრეობის შესახებ 11/1981 მიღებული 1981 წლის 13 მაისს, განსაზღვრავს, რომ მემკვიდრეობა ხორციელდება კანონით ანდერძით მემკვიდრეების არ არსებობის შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, თუ ანდერძი ცნობილი იქნება ბათილად, ანდერძის შემთხვევაში მხოლოდ ქონების ნაწილი ან მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის შემთხვევაში.<sup>131</sup> მემკვიდრეობა ხორციელდება იმგვარად, რომ ნათესაობის უფრო ახლო დონის მემკვიდრეები განარიდებენ მემკვიდრეობის მიღებისაგან შედარებით შორი დონის მემკვიდრე პირებს, გარდა იმათი, ვინც მემკვიდრეობას იღებს წარმომადგენლობის უფლებით.<sup>132</sup>

მემკვიდრეობის პირველ რიგში შედიან პირდაპირი დაღმავალი ხაზის მემკვიდრეები: შვილები, მათ შორის ნაშვილები, და მათი დაღმავალი ნათესავები. შვილები იღებენ სამკვიდროს დამოუკიდებლად, შვილიშვილები და მათი დაღმავალი ნათესავები იღებენ სამკვიდროს წარმომადგენლობის უფლებით. თუ რომელიმე მათგანი კვდება და ტოვებს რამდენიმე მემკვიდრეს, ეს უკანაკნელნი მემკვიდრეობას იღებენ ქონების ერთნაირ წილს, რომელიც ეკუთვნოდა გარდაცვლილს. მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებს წარმოადგენენ სამკვიდრებლის ადამავალი ხაზის ნათესავები. მშობლების არ არსებობისას მემკვიდრედ მოწვევა ხდება მათი ნათესაობის უახლოესი ადამავალი დონის პირები. მესამე რიგს შეადგენენ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე და გვერდითი ხაზის ნათესავები.<sup>133</sup>

მეუღლე იღებს მემკვიდრეობას პირდაპირი დაღმავალი და ადამავალი ნათესავების შემდეგ, მაგრამ გვერდითი ნათესავების წინ, თუმცა მისი გამორიხვა ხდება მემკვიდრეობისაგან, თუ იგი სამკვიდრებელთან არის განქორწინებული სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ფაქტიურად ურთიერთშეთანხმებით განქორწინების საიმედო მტკიცებულების არსებობისას.

ბევრი ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით ესპანეთის მემკვიდრეობითი კანონმდებლობა ადგენს პირთა კატეგორიას, რომელთაც არ შეუძლია მიიღონ სამკვიდრო არც კანონით, არც ანდერძით, რომელთაც განეკუთვნებიან:

---

<sup>131</sup> ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 912.

<sup>132</sup> იქვე, მუხლი 921

<sup>133</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskom-nasledstvennom>, (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

1. მშობლები, რომლებმაც მიატოვეს თავისი შვილები ან რომლებიც აიძულებდნენ თავის ქალიშვილებს ჩაბმულიყვნენ პროსტიტუციაში ან ჩაიდინეს მათ წინააღმდეგ ძალადობა;

2. პირები, გასამართლებული ქმედებებისათვის, მიმართულის მამკვიდრებლის, მისი მეუღლის, აღმავალი ან დაღმავალი ნათესავის წინააღმდეგ;

3. პირები, რომლებმაც ცრუ ბრალდებით დაასმინეს მამკვიდრებელი დანაშაულის ჩადენაში, რომლის მიხედვითაც იგი იქნა გასამართლებული და მიესაჯა კატორღული სამუშაოები ან სამუდამო პატიმრობა;<sup>134</sup>

4. პირები, რომლებმაც მუქარის, მოტყუების ან ძალადობის მეშვეობით, აიძულეს მამკვიდრებელი მათ სასარგებლოდ შეედგენა ან შეეცვალა ანდერძი, აგრეთვე პირები, რომლებმაც იმავე მეთოდებით წინააღმდეგობა გაუწიეს ანდერძის შედგენას, გაუქმებას ან შეცვლას ან დამალეს ანდერძი.<sup>135</sup>

## 6.2 უღირს მემკვიდრედ ცნობა გერმანიის სამოქალაქო სამართალში

გერმანიის სამოქალაქო დებულების მიხედვით მემკვიდრეების კატეგორიები და მემკვიდრეობის მიღებისათვის მათი მოწვევის რიგითობა დგინდება პარანტელებით.<sup>136</sup> პარანტელა წარმოადგენს სისხლით ნათესავ პირთა ჯგუფს, რომლებიც წარმოიშობიან ერთი წინაპრისაგან და მისი შთამომავლებისაგან. აღსანიშნავია, რომ რომაული მემკვიდრეობის სისტემისგან განსხვავებით, სადაც გვერდითი ნათესავების მოწვევა ხდება გარკვეულ დონემდე, გერმანულ კანონმდებლობაში პარანტელების რაოდენობის შეზღუდვა არ არის, ამიტომ შეიძლება მოწვეული იქნან ნებისმიერი ნათესავები, ისეთებიც კი, რომლებიც არ იყვნენ გათვალისწინებული სანათესაოში, დადგენილი თანმიმდევრობის შესაბამისად. პირველ პატანტელას ხელმძღვანელობს თავად მამკვიდრებელი და მისი დაღმავალი ნათესავები, ანუ პირველ რიგში მემკვიდრეობას იღებენ პირაპირი შთამომავლები – შვილები, ხოლო რომელიმე მათგანის სიკვდილის შემთხვევაში მათი შვილები, ანუ შვილიშვილები და ასე უსასრულოდ.<sup>137</sup> მეორე პარანტელას ხელმძღვანელობენ მშობლები და მათი შთამომავლები, ანუ მამკვიდრებლის დედი და ძმები, რომლებიც იღებენ მემკვიდრეობას მხოლოდ ერთ–ერთი მშობლის გარდაცვალების შემდეგ, ხოლო ძმის ან დის გარდაცვალების შემთხვევაში, ხდება მათი

<sup>134</sup> ეს აკრძალვა წყვეტს მოქმედებას, თუ კანონით არ არსებობს საფუძველი სისხლის სამართლებრივი დევნისათვის.

<sup>135</sup> ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 756.

<sup>136</sup> გერმანიის და შვეიცარიის სამოქალაქო სამართლის კოდეფიკაციის თაობაზე იხ.: Виакер Ф. Зарождение, расцвет и кризис идеи кодификации, ФЕМИС. Ежегодник истории права и правоведения, Москва, 2000, Вып. 1; Кабрняк Р., Кодификации, Москва, 2007.

<sup>137</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §1924.

შვილების მოწვევა, ანუ დის შვილების და ძმის შვილების და შემდგომ შეზღუდვების გარეშე.<sup>138</sup> ამგვარად, დები და ძმები და მათი შთამომავლები იღებენ მემკვიდრეობას მხოლოდ წარმომადგენლობის უფლებით. მესამე პარანტელა წარმოდგენილი ბებიების და პაპების მემკვიდრეობით, რომელიმე მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში წილი გადადის გარდაცვლილის დაღმავალ ნათესავთან (შინაარსობრივად, წარმომადგენლობის უფლებით) და ა.შ. მეოთხე პარანტელა წარმოდგენილია მამკვიდრებლის დიდი ბებიითა და დიდი პაპით და მათი შთამომავლებით, მეხუთე – დიდი ბებიის და დიდი პაპის მშობლებით და მათი შთამომავლებით და ა.შ., ამასთან მემკვიდრეობის მიღების წესი მათშიც ისეთივეა, როგორც მეორე პარანტელაში. ამგვარად, პარანტელებიან სამკვიდრო სისტემაში პარანტელის მოწვევა ხდება მემკვიდრეობის მისაღებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არისებობდა წინა პარანტელის ნათესავი, მაგრამ ყოველ მათგანში წარმოდგენის უფლება შეუზღუდავია.<sup>139</sup>

გერმანიის სამოქალაქო სამართლის §2339 თანახმად უღირს მემკვიდრედ ჩაითვლება ის:

1. რომელმაც განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ მოკლა მამკვიდრებელი ან ჩაიდინა მისი მკვლელობის მცდელობა ანდა მიიყვანა იგი იმ მდგომარეობამდე, რომ მამკვიდრებელი თავის გარდაცვალებამდე უუნარო იყო, რომ მიეღო ან გაეუქმებინა საანდერძო განკარგულება;

2. რომელმაც მამკვიდრებელს განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ ხელი შეუშალა საანდერძო განკარგულების მიღებასა თუ გაუქმებას;

3. რომელმაც განზრახ შეცდომაში შეყვანით ან მართლსაწინააღმდეგოდ მუქარით დაიყოლია მამკვიდრებელი საანდერძო განკარგულების მიღებასა თუ გაუქმებაზე;

4. რომელიც მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულებასთან დაკავშირებით ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის (Strafgesetzbuch) §267, §271-274 (დოკუმენტების გაყალბება და გადამალვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.<sup>140</sup>

ბოლო ორ მითითებულ შემთხვევებში მემკვიდრე არ ჩაითვლება უღირსად, თუ სამკვიდროს გახსნამდე საანდერძო განკარგულებამ, რომლის მიღებაზეც დაიყოლიეს მამკვიდრებელი ან რასთან დაკავშირებითაც ჩადენილ იქნა დანაშაული, დაკარგა ძალა ან

<sup>138</sup> იქვე, §1925.

<sup>139</sup> იხ.: Основные институты гражданского права. С. 493.

<sup>140</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §2339

ძალას დაკარგავდა ის საანდერძო განკარგულება, რომლის გაუქმებაზეც იგი დაიყოლიეს.<sup>141</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრის უღირსად ცნობისათვის აუცილებელია გასაჩივრებული იქნა მის მიერ მამკვიდრეობის მიღების უფლება<sup>142</sup>, რომელიც დასაშვებია მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების შემდგომ. მომდევნო მემკვიდრის მიმართ გასაჩივრება შეიძლება მოჰყვეს მას შემდეგ, რაც სამკვიდრო გადავა პირველ მემკვიდრეზე. გასაჩივრებლად კანონის მიერ დადგენილი ერთ წლიანი ვადა, რომელიც აღირიცხება იმ მომენტიდან, როდესაც უფლებამოსილმა პირმა გაიგო გასაჩივრების საფუძვლის თაობაზე, მაგრამ უკანაკნელი გამოირიცხება, თუ მემკვიდრეობის გახსნის მომენტიდან გავიდა ოცდაათი წელი.<sup>143144</sup>

როგორც ბევრი ქვეყნის კანონმდებლობის მიერ არის დადგენილი, სარჩელის შეტანის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომლის ინტერესებშიც შედის უღირსი მემკვიდრის გამორიცხვა, მაშინაც კი თუ ეს მოხდება მხოლოდ სხვა პირის გამორიცხვით. გასაჩივრების შედეგები დგება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ.<sup>145</sup> გერმანიის მემკვიდრეობითი სამართალი განამტკიცებს მამკვიდრებლის მიერ უღირსი მემკვიდრის პატიებას, რის შედეგადაც გასაჩივრება გამორიცხულია.<sup>146</sup>

საინტერესოა უღირს მემკვიდრედ აღიარების სამართლებრივი შედეგის ბუნება – მემკვიდრეობის გადასვლა მასთან ითვლება შეუძღვარად, თითქოს ის არ არის ცოცხალი მემკვიდრეობის გახსნის დროისათვის, რაც ხსნის პარანტელში დაღმავალი ნათესავების მემკვიდრეობის უფლებას და ა.შ. კანონი პირდაპირ ადგენს: სამკვიდრო გადადის იმ პირზე, ვინც მოიწვეოდა მემკვიდრედ, უღირსი მემკვიდრე რომ არ ყოფილიყო ცოცხალი სამკვიდროს გახსნის მომენტში; სამკვიდროს გადასვლა ჩაითვლება განხორციელებულად სამკვიდროს გახსნის მომენტში.<sup>147</sup>

წესები უღირს მემკვიდრეთა მიმართ გამოიყენება საანდერძო დანაკისრზეც, ამიტომ მოთხოვნა, დაფუძნებული საანდერძო დანაკისრზე, ექვემდებარება გასაჩივრებას<sup>148</sup>, ისევე როგორც სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება.

---

<sup>141</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskoy-nasledstvennom>, (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

<sup>142</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §2340

<sup>143</sup> იქვე, §2082 და §2340.

<sup>144</sup> იხ.: Бергман В. Введение к пониманию Германского гражданского уложения, Волтерс Клувер, 2004, С. VIII - XVII.

<sup>145</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §2341, 2342.

<sup>146</sup> იქვე, §2343.

<sup>147</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §2344.

<sup>148</sup> იქვე, §2345

რადგან სავალდებულო წილის მემკვიდრეობა არის აუცილებელი, მაშინ ასეთ მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს იგი, მაშინაც კი თუ მთელი ქონება ეანდერძა სხვა პირს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ქმნის სამოქალაქოსამართლებრივ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც სავალდებულო მემკვიდრე კარგავს სავალდებულო წილის მიღების უფლებას.<sup>149</sup>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §2333 თანახმად მამკვიდრებელს საანდერძო განკარგულების ფორმით შეუძლია დატოვოს შთამომავალი სავალდებულო წილის გარეშე:

1. თუ ეს უკანასკნელი ხელყოფს მამკვიდრებლის, მისი მეუღლის ან სხვა შთამომავლის სიცოცხლეს,

2. თუ შთამომავალს შეერაცხება მამკვიდრებლისადმი ან მისი მეუღლისადმი განზრახი ფიზიკური სასტიკი მოპყრობა<sup>150</sup> (Misshandlung), თუმცა, მეუღლისადმი სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში, – მხოლოდ იმ პირობით, რომ შთამომავალი წარმოადგენს მეუღლის შთამომავალს,

3. თუ შთამომავალი მამკვიდრებლის ან მისი მეუღლის მიმართ ბრალეულად სჩადის დანაშაულს ან სხვა მძიმე განზრახ გადაცდომას,

4. თუ შთამომავალი ბოროტად არღვევს მასზე მამკვიდრებლის წინაშე არსებულ კანონით დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას,

5. თუ შთამომავალი მამკვიდრებლის ნების საწინააღმდეგოდ ეწევა უღირს ან ამორალურ ცხოვრებას<sup>151, 152</sup>

მემკვიდრეობის სავალდებულო წილის უფლების ჩამორთმევის სპეციალური წესები დადგენილია მემკვიდრეთა განსაზღვრული კატეგორიისათვის. ასე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §2334 თანახმად მამკვიდრებელს შეუძლია ჩამოართვას სავალდებულო წილის მემკვიდრეობის უფლება მშობელს, თუკი ის:

1. ხელყოფს მამკვიდრებლის, მისი მეუღლის ან სხვა შთამომავალი მემკვიდრის სიცოცხლეს;

---

<sup>149</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskom-nasledstvennom>, (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

<sup>150</sup> ტერმინი „სასტიკი მოპყრობა“ შეესაბამება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §223–ში მოყვანილ განმარტებას.

<sup>151</sup> გათვალისწინებულ შემთხვევაში ჩამორთმევა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მამკვიდრის გახსნის მომენტში შთამომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღარ ეწეოდა უღირს ან ამორალურ ცხოვრებას. ვსკ §2336 4 ნ.

<sup>152</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §2333.

2. დამნაშავეა დანაშაულში ან მძიმე გადაცდომაში, განზრახ ჩადენილის მამკვიდრებლის ან მისი მეუღლის მიმართ;

3. ბოროტად დაარღვევს მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას მამკვიდრებლის რჩენის თაობაზე.

მამკვიდრებელს შეუძლია დატოვოს სავალდებულო წილის გარეშე თავისი მეუღლე:

1. თუ ეს უკანასკნელი ხელყოფს მამკვიდრებლის ან მისი შთამომავლის სიცოცხლეს,

2. თუ მეუღლეს შეერაცხება მამკვიდრებლისადმი განზრახი ფიზიკური სასტიკი მოპყრობა,

3. თუ მეუღლე მამკვიდრებლის მიმართ ბრალეულად სჩადის დანაშაულს ან განზრახ მძიმე გადაცდომას,

4. თუ მეუღლე ბოროტად არღვევს მასზე მამკვიდრებლის წინაშე არსებულ კანონით დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას.<sup>153</sup>

მემკვიდრეობის გარეშე დატოვების საფუძველს უნდა ჰქონდეს ადგილი საანდერძო განკარგულების მემკვიდრეობის გარეშე დატოვების შესახებ შედგენის მომენტისათვის, ამასთან მათი მტკიცება ევალება პირს, რომელმაც განაცხადა სავალდებულო წილის გარეშე დატოვების თაობაზე.<sup>154</sup> სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლება უქმდება პატიებით. განკარგულება, რომლითაც მამკვიდრებელმა დაადგინა სავალდებულო წილის ჩამორთმევა, პატიების შედეგად კარგავს ძალას.<sup>155</sup>

თუ შთამომავალი იმ ოდენობით ფლანგავს თავის ქონებას ან მას აქვს ზედავალიანება იმ მოცულობით, რომ საფრთხის ქვეშ დადგება მისი შემდგომი შენაძენი, მაშინ მამკვიდრებელს შეუძლია შეზღუდოს განკარგულებით მისი სავალდებულო წილი ისე, რომ შთამომავლის გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელის კანონით მემკვიდრეებმა როგორც სუბსტიტუტებმა ან სუბსტიტუციურმა ლეგატარებმა მიიღონ შთამომავლისათვის ანდერძით გადაცემული ქონება ან მისი სავალდებულო წილი კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მათი წილების პროპორციულად. მამკვიდრებელს შეუძლია ასევე შთამომავლის სიცოცხლეში სამკვიდროს მართვა დააკისროს ანდერძის აღმსრულებელს; ასეთ შემთხვევაში შთამომავალს აქვს მოთხოვნის უფლება

<sup>153</sup> იქვე, §2335

<sup>154</sup> იქვე, §2336

<sup>155</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §2337.

ყოველწლიურ წმინდა მოგებაზე.<sup>156</sup> განკარგულებები სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში შთამომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღარ ფლანგავდა თავის ქონებას ან აღარ არსებობს ზედავალიანება, რაც გახდა განკარგულების მიღების საფუძველი.<sup>157</sup>

### 6.3 მემკვიდრეობა ბერძნული სამართლის მიხედვით

ბერძნული სამართლის თანახმად, სამკვიდრო ქონების უნივერსალური შემადგენლობა, მემკვიდრეობის უფლება და მემკვიდრეების მიერ დაუფლება ხორციელდება პირის გარდაცვალების მომენტში. გარდაცვალების დროს, „de cuius” მემკვიდრეობა პირდაპირი წესით გადადის „ab intestat” (ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა) მემკვიდრეებზე ან ანდერძით მემკვიდრეებზე<sup>158</sup>.

დასახელებულ მემკვიდრედ შესაძლოა იგულისხმებოდეს მხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია ან იგულისხმება ჩასახულად სამკვიდროს გახსნის მომენტში<sup>159</sup>. ჩასახული ბავშვი, რომელიც არ დაიბადება ცოცხალი, ითვლება არარსებულ ბავშვად. სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, ფონდი, რომელიც შეიქმნა მისი დამაარსებლის გარდაცვალების შემდეგ, განიხილება როგორც არსებული სიკვდილის მომენტისათვის, მისთვის განკუთვნილ ქონებასთან მიმართებაში.<sup>160</sup>

ბერძნული სამართლის თანახმად, (მუხლი 1846, სამოქალაქო კოდექსი) მემკვიდრეს ენიჭება კანონიერი უფლება სამკვიდროზე მემკვიდრეობის გადასვლის მომენტში. რაც შეეხება უძრავ ქონებას და ზოგადად რეალურ უფლებებს, მათი დაკანონება ექვემდებარება ქონების მიღებაზე სანოტარო აქტის და სამკვიდრო მოწმობის დარეგისტრირებას საბერძნეთის უძრავი ქონების შესაბამის რეესტრში. რეგისტრაციის დროს „de cuius” გარდაცვალება (დამოწმებული) სერტიფიცირებული უნდა იყოს<sup>161</sup>.

მემკვიდრედ აღიარებისათვის მოითხოვება მხოლოდ იურიდიული უფლება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ფიზიკურ (თუნდაც ჯერ არ შობილს მაგრამ ჩასახულის), ან იურიდიულ პირს შეუძლია გახდეს მემკვიდრე. გარდა ამისა, გარდაცვალების მომენტისათვის ჯერ ჩაუსახავ პირზე და უნივერსალური trust-ის სახით

<sup>156</sup> Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskom-nasledstvennom>, (ვიზიტის დრო: 02.07.2019)

<sup>157</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §2338.

<sup>158</sup> საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1710.

<sup>159</sup> იქვე, მუხლი 1711.

<sup>160</sup> საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ. 1

[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtroni\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtroni_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)

<sup>161</sup> საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1193

ჯერ ჩამოუყალიბებელ იურიდიულ პირზე გადადის მემკვიდრეობა ფიზიკური პირის გაჩენის მომენტში, ისევე როგორც იურიდიული პირის დაარსების მომენტში.<sup>162</sup>

უღირსი მემკვიდრის საკითხი გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 5 წიგნის VII თავში. ეს დებულებანი ვრცელდება ყველა მემკვიდრეზე და ლეგატარზე (légataire). უღირსი მემკვიდრედ პირი ცხადდება სასამართლოს გადაწყვეტილების საშუალებით, პირის მიერ სარჩელის სასამართლოში წარდგენის საფუძველზე, რომელიც დაადასტურებს კანონიერ ინტერესს სამკვიდროს გადაცემიდან ორი წლის ვადაში<sup>163</sup>. უღირს მემკვიდრედ ითვლება :

- პირი, რომელმაც განზრახ მოკლა ან ჰქონდა მცდელობა მოეკლა გარდაცვლილი ან მისი შვილები, დედა, მამა ან მეუღლე.
- პირი, რომელმაც უსამართლოდ დააბრალა გარდაცვლილს დანაშაული და მისჯილი ჰქონდა ამისათვის სასჯელი.
- პირი, რომელმაც უკანონოდ განზრახ ხელი შეუშალა გარდაცვლილს დაეწერა ან გამოეთხოვა საკუთარი ანდერძი.
- პირი, რომელმაც უკანონოდ და ამორალურად, მოტყუებით უბიძგა ან მუქარით აიძულა გარდაცვლილი დაეწერა ან შეეცვალა ანდერძი.
- და ის პირი, რომელმაც შეცვალა ან მოშალა გარდაცვლილის მიერ დაწერილი ანდერძი<sup>164</sup>.

ვიდრე უღირსი საქციელი არ წარმოადგენს დანაშაულს, ის უქმდება, თუკი გარდაცვლილი პატიობს უღირს პირს ავთენტური აქტის ან ანდერძის მეშვეობით<sup>165</sup>

სამოქალაქო კოდექსის 1865 მუხლის თანახმად, („succession vacante“ „ვაკანტური სამკვიდრო“), თუკი მემკვიდრე უცნობია ან დაუდგენელია მიიღებს თუ არა ის მემკვიდრეობას, მემკვიდრეობის სასამართლო, ნებისმიერი კანონიერი ან სახაზინო ინტერესის მქონე პირის მოთხოვნის საფუძველზე ნიშნავს სამკვიდრო კურატორს. გადაუდებელ შემთხვევაში პროკურორი ნიშნავს დროებით კურატორს. ამ უკანასკნელმა უმოკლეს ვადაში უნდა დაანიშნოს სასამართლოს საბოლოო კურატორი.<sup>166</sup>

<sup>162</sup> საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ. 2

[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)

<sup>163</sup> იქვე, გვ. 2

<sup>164</sup> საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1860

<sup>165</sup> იქვე, მუხლი 1861

<sup>166</sup> საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ. 3

[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)

რამოდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში, სამკვიდრო საერთოა ყოველი მემკვიდრის სამკვიდრო წილის პროპორციულად. კანონის განსხვავებული დებულების არარსებობის შემთხვევაში, თანამემკვიდრეთა ურთიერთობებზე (communauté entre cohéritiers) ვრცელდება ზოგადი მემკვიდრეობითი დებულებები (communauté par indivision)<sup>167</sup>.

ყველა თანამემკვიდრეს შეუძლია განკარგოს სამკვიდროს საკუთარი წილი ან მისი ცალკეული ნივთები. ყველა თანამემკვიდრეს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს სამკვიდროს განაწილება (გაყოფა)<sup>168</sup>.

მემკვიდრეს შეუძლია უარის თქმა მემკვიდრეობაზე ოთხი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შეიტყო მისი გადმოსვლა და გამომწვევი მიზეზი. ანდერძით (მემკვიდრეობის) გადმოსვლისას, ვადის ათვლა იწყება მხოლოდ ანდერძის გახსნის მომენტიდან. თუ გარდაცვლილს უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი უცხოეთში ჰქონდა, ან თუ მემკვიდრემ შეიტყო სამკვიდროს გადმოსვლა უცხოეთში ყოფნისას, ვადა წარმოადგენს ერთ წელიწადს.<sup>169</sup>

ეს ვადა ჩერდება იგივე მოტივებით რითაც ხანდაზმულობა<sup>170</sup>. უარის თქმა ხორციელდება მომრიგებელი სასამართლოს სამდივნოში განცხადების მეშვეობით<sup>171, 172</sup>

ევროპის ქვეყნების მემკვიდრეობითი სამართლის ზოგიერთი საკითხის კვლევამ დამანახა, რომ მიუხედავად ქვეყნების სიმორისა, სამართლის პრინციპები ყველა ქვეყანაში მაინც ერთნაირია და განსხვავებები მხოლოდ მცირედ დეტალებში შეინიშნება.

## დასკვნა

უღირსი მემკვიდრე, ანუ ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული მამკვიდრებლის, მისი მეუღლის ან ახლო ნათესავის მიმართ- მოცემული არის მოკლე აღწერილობა იმ ადამიანის, ვისაც სამოქალაქო კანონმდებლობა აღიარებს უღირს მემკვიდრედ. ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა წარმოადგენს სწორედ რომ უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტის კვლევას როგორც ქართული, ისე უცხო ქვეყნების მემკვიდრეობითი სამართლის მაგალითზე. უნდა ავღნიშნო, რომ კვლევამ დამაფიქრა

<sup>167</sup> საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1847

<sup>168</sup> იქვე, მუხლი 1887

<sup>169</sup> საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ. 3

[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)

<sup>170</sup> საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1847

<sup>171</sup> იქვე, მუხლი 1848

<sup>172</sup> საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება, გვ. 3

[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/eleqtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)

მარადიულ ფრაზებზე „ყველა ქმედებას აქვს უკუქმედება“ და „ყველა ქმედებას მოჰყვება შედეგი“. ნაშრომზე მუშაობის პროცესში სწორედ ეს ფრაზები დამყვებოდა ფონად. კვლევა ჩატარებული იქნა სიღრმისეულად და გამოკვლეული იქნა საკმაოდ დიდი მოცულობის თეორიული მასალა რამაც ვფიქრობ ძალზედ საინტერესო შედეგი გამოიღო მოცემული ნაშრომის სახით.

დასაწყისში ჩემს მიერ გამოკვლეული იქნა მემკვიდრეობა, მისი არსი, მისი ადგილი სამართლის სისტემაში და მისი რეგულირების სფერო. ვფიქრობ ზოგადად მემკვიდრეობის საკითხის განხილვა აუცილებელი იყო, რათა ნაშრომის უშუალო კვლევის საგანი აუცილებად საჭიროებდა ზოგადად მემკვიდრეობის სამართლის ცნების განმარტებას. ამავე თავში განვიხილე აგრეთვე ზოგადად და მოკლედ კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა, მოვახდინე მათი შედარება და გამოვიკვლიე მათი სამართლებრივი შედეგები.

მომდევნო თავი დაეთმო მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემურ საკითხებს, კერძოდ ვისაუბრეთ მემკვიდრეობის უფლებაზე და საკუთრების უფლებაზე, მათ კავშირზე და განსხვავებებზე. აგრეთვე ვისაუბრეთ სამოქალაქო სამართლის სავალდებულო წილის უფლების მუხლზე, მის კონსტიტუციურობაზე, დავაფიქსირე ჩემი პირადი აზრი და გავიზიარე ერთ–ერთი იურისტის მოსაზრება ამ მუხლის სხვაგვარი რედაქციით ჩამოყალიბების თაობაზე. ვფიქრობ მოცემული მუხლი აკნინებს მამკვიდრებლის უფლებას და ანდერძით მემკვიდრეს აყენებს ძალზედ დიდ ზიანს. ეს არ არის სამართლიანი მუხლი და ვფიქრობ მას სჭირდება დარეგულირება და რედაქტირება.

გარდა უღირს მემკვიდრედ აღიარებისა, ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს მემკვიდრეობის ჩამორთმევის რამდენიმე საფუძველს, მათ შორის მშობლები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ შვილების მემკვიდრეები, განქორწინებაში მყოფ მეუღლეთა ურთიერთმემკვიდრეობა, აგრეთვე ქორწინების ბათილობის დროს მეუღლის მემკვიდრეობის დაუშვებლობა და ა.შ. ყოველი ცალკეული შემთხვევა, გათვალისწინებული სამოქალაქო კანონმდებლობით დეტალურად იქნა განხილული ნაშრომის ამ თავში.

უღირს მემკვიდრედ ცნობისათვის აუცილებელი სასამართლოს გადაწყვეტილება, ამიტომ ერთი თავი დაეთმო უღირს მემკვიდრედ ცნობის და სავალდებულო წილის მიღების უფლების პროცესუალურ საკითხებს. ამ თავში დეტალურად იქნა განხილული ვის, როდის და რა შემთხვევაში შეუძლია შეიტანოს განცხადება სასამართლოში და რა პროცესები და სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ განცხადებას.

ბოლო თავში განვიხილე უღირს მემკვიდრედ ცნობის საკითხი უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის კვლევამ დამანახა, რომ ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ფაქტიურად მსგავსად არეგულირებს როგორც მემკვიდრეობის

საკითხს, ისე უღირს მემკვიდრედ ცნობის საკითხს. იტალიის და გერმანიის მემკვიდრეობის რიგითობამ გამოიწვია ჩემში გაოცება და გამიჩნდა ამ სფეროს უფრო სიღრმისეულად შესწავლის სურვილი. ის ფაქტი, რომ იტალიელები მეუღლეს ფაქტიურად მესამე რიგის მემკვიდრედ თვლიან ჩემთვის გასაკვირი და ალბათ მიუღებელიც არის, ხოლო გერმანული სამართლის რიგითობამ, რაც პარანტელებით გამოიხატება, ჩემთვის ერთგვარი აღმოჩენა იყო. ბუნებრივია სხვა ქვეყნების სამართალიც ძალზედ საინტერესო და საყურადღებოა და ვფიქრობ ამ სფეროთი დაინტერესებული პირებისათვის საინტერესო იქნება ჩემი კვლევის გაცნობა.

ნაშრომი წარმოადგენს უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტის სიღრმისეულ კვლევას, მისი როგორც მატერიუალური ისე პროცესუალური ნორმების კვლევის და ანალიზის ფონზე. ვფიქრობ ნაშრომი დაინტერესებს იურისტებს და არა მხოლოდ მათ.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა

1. აბდუშელიშვილი გ., მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014
2. ახვლედიანი ზ., ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 1998
3. ბილინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 6, #4, თბილისი, 2003
4. ბილინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, თბილისი, 2003
5. გოგოლაძე დ., უარი სამკვიდროს მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თბილისი, 2011
6. გრიგოლია თ., ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის შედარება (ცალკეული მუხლების ფონზე), თბილისი, 2011
7. ზარანდია თ./ჯუღელი თ., საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება, პროფესორ რომან შენგელის საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012
8. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003
9. თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2016 , <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/07/Artikel-170.pdf>
10. კობიაშვილი მ., მემკვიდრეობა, თბილისი, 2011

11. კობხრიძე ლ., სამემკვიდრეო დავებში მოაწილე პირები, მართლმსაჯულება და კანონი #3(42)/2014
12. ლილუაშვილი თ./ ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2007
13. როსეფაშვილი ნ., მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით, თბილისი, 2013
14. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება,  
[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_mkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_mkvidreoba.pdf)
15. შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000
16. შენგელია რ., მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2007
17. შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2011
18. ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000
19. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბილისი, 2001
20. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2011
21. ხვედელიანი დ., ანდერძით მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, სამართლის ჟურნალი #1, თბილისი, 2009
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 მაისის განჩინება #ას-265-249-2011
23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის #3/1/531 გადაწყვეტილება
24. Барщевский М.Ю. Наследственное право. Москва, 1996.
25. Бергман В. Введение к пониманию Германского гражданского уложения, Волтерс Клувер, 2004.
26. Блинков О.Е. О сравнительном наследственном правоведении, Юридическая наука и образование, N 4, Москва, 2006.

27. Виакер Ф. Зарождение, расцвет и кризис идеи кодификации, ФЕМИС. Ежегодник истории права и правоведения, Москва, 2000.
28. Гукасян Р.Е., Влияние материально-правовых отношений на форму процесса в исковом производстве, Вопросы теории и практики гражданского процесса, Выпуск 1, Межвузовский научный сборник, Саратов, 1976.
29. Гукасян Р.Е., Горизонты и ориентиры процессуальной науки, Материалы научно-методической конференции „Юристы в XXI веке,“, Тверь, 2001
30. Давид Р./ Жоффре-Спинози К. Основные правовые системы современности, Москва, 1999.
31. Захватаев В., Новый Гражданский процессуальный кодекс Франции, Киев, 2004
32. Залесский В., Основные институты гражданского права зарубежных стран. Сравнительно-правовое исследование, Москва, 1999
33. Лаврова Д.Г., Французский гражданский кодекс, Санкт-Петербург, 2004.
34. Марышева Н.И., Международное частное право, Москва, 2000
35. Мозолина В.П./ Кулагина М.И., Гражданское и торговое право капиталистических стран. Учеб. Пособие, Москва, 1980.
36. Огнев В.Н., Институт недостойных наследников в современном романо-германском наследственном праве, Мудрый Юрист, <https://wiselawyer.ru/poleznoe/25437-institut-nedostojnykh-naslednikov-sovremennom-romano-germanskom-nasledstvennom> (зачињено датум: 02.07.2019)
37. Стройкина Ю.В., Некоторые вопросы теории гражданского правоотношения, Оренбург, 2005
38. Цвайгерт К./ Кетц Х. Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, том 1, Москва, 2000.
39. Palandt O./Heinrichs H., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 63. Auflage, 2003,
40. Rütters B., Rechtstheorie: Begriff, Geltung und Anwendung des Rechts, Berlin, 1999
41. Säcker F.J./Rixecker R./Oetker H./Limperg B. (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 6 Aufl., 2013.
42. Cohen Nili. The Slayer Rule (2012). 92 Boston U L Rev 793 - 810 (2012)

43. Hirsch Adam J. Text and Time: A Theory of Testamentary Obsolescence.
44. Law of Wills. Browne C. Lewis
45. Spivack C. Killers Shouldn't Inherit from Their Victims - Or Should They? Vol. 48.

## ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
4. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“
5. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
6. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი
7. პოლონეთის სამოქალაქო კოდექსი
8. საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი
9. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი
10. ხორვატიის მემკვიდრეობის კანონი

### ინტერნეტ-წყაროები:

<http://www.library.court.ge>

<https://elawjournal.wordpress.com>

<https://www.notary.ge>